ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ძმები ფეიქრიშვილების აფეთქების მცდელობისთვის სუსმა ბიბილური, ცინცაძე და კიდევ 4 პირი დააკავა



გვ.5

„ცოტა ხნის წინ გიორგი ფეიქრიშვილის მანქანა დაწვეს“

28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




პარასკევი, 31 იანვარი, 2020

№25 (8289)

ფასი: 60 თეთრი

# ამერიკაში თალაკვაძეს აგზავნიან და ცეცხლზე ნავთს დაასხამენ



გვ.3

## „ოპოზიციის ლიდერების მიზანში ამოღება საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის დამატებითი მტკიცებულებაა“

## გია ხუხაშვილი: „ივანიშვილი იქამდე მივიდა, რომ ლამის კონგრესმენებსა და სენატორებსაც „ნაცები“ დაუძახოს“






გვ.3

## გიორგი ვაშაძე: „100/50-ზე მიუღებელია, „ოცნებას“ დათმობა მოუწევს“

„ხელისუფლება, შესაძლოა, რუსეთთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდეს“



გვ.2

კიდევ ერთი წერილი ვაშინგტონიდან

## „ივანიშვილს ამერიკული ინტერესების შელახვისთვის მომავალშიც მკაცრად მოჰკითხავენ“

მირიან მირიანაშვილი: „ამერიკელებმა საქართველოში მოქმედი რუსული პოლიტიკური თეატრი დაანგრიეს“



გვ.4



გვ.2

## გომელაურმა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები დააჯილდოვა



გვ.4

## დავით ლორთქიფანიძე: „მე აბსოლუტურად არ მწყინს და არ ვსვამ კითხვას, რატომ აგზავნის ამერიკა წერილებს“

ISSN 1987-9385

2 ნიკა გვარამიას სასამართლოს ეზოში თავს დაესხნენ

2 ამირან გამყრელიძე: „ყაზბეგიდან ჩამოყვანილ 2 ჩინელ ბავშვს გრიპის „ა“ ტიპის ვირუსი დაუდგინდა“

5 თბილისში 16 წლის გოგონას საკუთარი და და ტაქსის მძღოლი სექსმუშაკად მუშაობას აიძულებდნენ

6 სენატმა, შესაძლოა, ტრამპი უკვე ამ პარასკევს გაამართლოს

# „ოპოზიციის ლიდერების მიზანში ამოღება საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის დამატებითი მტკიცებულებაა“

## კიდევ ერთი წერილი ვაშინგტონიდან

ბიძინა ივანიშვილის გუნდის კრიტიკა ვაშინგტონიდან არ წყდება. მორიგი გზავნილი საქართველოს ხელისუფლებამ ამჯერად სენატორებისგან მიიღო.

სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი სენატორი ჯიმ რიში და ევროპის ქვეკომიტეტის უმცირესობის დემოკრატი ლიდერი, სენატორი ჯინ შაჰინი საქართველოს მთავრობას წერილით მიმართავენ.

ეს სენატის საგარეო კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობისთვის გაგზავნილი პირველი წერილია.

გთავაზობთ წერილის სრულ ტექსტს, რომელიც „ამერიკის ხმამ“ გაავრცელა:

„ბატონო პრემიერ-მინისტრო გიორგი გახარია,



გწერთ, რომ გამოვხატოთ საქართველოში უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენი ღრმა შეშფოთება.

უკანასკნელი 29 წლის განმავლობაში, რაც საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენ ვიხილეთ დემოკრატიის დამკვიდრება, ეკონომიკური ზრდა, სამოქალაქო საზოგადოების აყვავება და მმართველობის მკვეთრი გაუმჯობესება. საქართველოს ერთგულება ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემისა და კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკისადმი თქვენი რეგიონისთვის შთამბეჭდავი მაგალითია.

ორივე ჩვენგანი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლები ვიყავით და საქართველოს მიერ დემოკრატიის ამ მთავარი ფასეულობების დაცვამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

უკვე ათწლეულებია, რაც საქართველოს განვითარების გზაზე, შეერთებული შტატები მისი მხურვალე მხარდამჭერია, თუმცა, ჩვენ უფრო და უფრო შეშფოთებულნი ვართ უკანასკნელი მოვლენებით, რომლებიც ქართული დემოკრატიის და მმართველობის შესუსტებაზე მიუთითებს.

ორი მთავარი საკითხი არის პარლამენტის მიერ საარჩევნო რეფორმის დაპირების ჩაგდება და მთავრობის მიერ მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების ძალადობრივი ჩახშობა.

ვიცით, რომ დაპირებული საარჩევნო რეფორმა ითვალისწინებდა ქართველი ამომრჩევლისთვის პროპორციული წარმომადგენლების მიცემას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისტემას რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტიისთვის არ მიეცა გაუმართლებელი უპირატესობა. თქვენი მთავრობის გადაწყვეტილება, რომ ეს ცვლილება არ მომხდარიყო, საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პასუხისმგებლობისგან უკუსვლაზე მიუთითებს. ამასთან ერთად, მასობრივი, თუმცა მშვიდობიანი პროტესტი, რომელიც ამას მოჰყვა, მკაფიო ნიშანია, რომ ამ ჩავარდნით უკმაყოფილება არსებობს. მთავრობის მიერ ამ პროტესტების ძალადობრივი ჩახშობა, ქართველების დემოკრატიული უფლებების და მთავრობის მიერ მისი მოქალაქეების დაცვის ვალდებულების დარღვევაა.

ამასთან, ბოლო პერიოდში, ოპოზიციის ლიდერების მიზანში ამოღება, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მეთოდებით, საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის დამატებითი მტკიცებულებაა. ცნობები, რომ ოპოზიციის ლიდერებს მმართველ პარტიასთან დაკავშირებული პირები ფიზიკურად უსწორდებიან ან მათზე ძალადობენ, შემაშფოთებელია.

ასევეა ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ წლების წინ დახურული სისხლის სამართლის საქმეების ხელახლა გახსნა. პოლიტიკოსებს უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ თავისუფლად საუბრის უფლებით და საქართველოს სასამართლო სისტემა არ უნდა იყოს გამოყენებული მათთვის ამ თავისუფლების შეზღუდვის იარაღად.

დაბოლოს, ჩვენ ვართ განსაკუთრებით შეშფოთებულნი, რომ საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას ძირი ეთხრება უზენაესი სასამართლოს 14 ახალი მოსამართლის უვადოდ დანიშვნით მანამდე, სანამ მათი კვალიფიკაცია სრულად იქნა შეფასებული, როგორც ეს აღნიშნა ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) თავის 2020 წლის იანვრის მონიტორინგის ანგარიშში.

მიუკერძოებელი და დიდი გამოცდილების მქონე მოსამართლეების ნაცვლად, პოლიტიკური მოკავშირეების უმაღლეს სასამართლოში დანიშვნა იმ დემოკრატიულ ინსტიტუტებს უთხრის ძირს, რომლებმაც რეგიონში საქართველო შესაშური (მაგალითი) გახადა.

ცოტა ხნის წინ გაკეთებული ბატონი ივანიშვილის განცხადება, რომ აქციების უფრო მეტ მონაწილეს მოუწევს ციხეში წასვლა, კიდევ ერთი შემაშფოთებელი ამბავია. ჩვენ იმედი გვაქვს, ეს არ არის იმის ნიშანი, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, სასამართლო და პოლიცია არამართებულად გამოიყენოს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ჩვენ წლებია, შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის პარტნიორობის მტკიცე მხარდამჭერები ვართ და ჯერ ისევ გვჯერა, რომ თქვენ გაქვთ ძლიერი დემოკრატიული საფუძველი. თუმცა, ეს მოვლენები ჩვენ გვაჩერებს და გვიჩენს კითხვებს ჩვენი საერთო ღირებულებებისადმი საქართველოს ერთგულების თაობაზე. ასევე, ჩვენ ვშიშობთ, რომ რეფორმების კუთხით პროგრესის ნაკლებობა და საქართველოს შიგნით დაპირისპირების ზრდა კარს გაუღებს რუსეთის უფრო მეტად ჩარევას ქვეყანასა და რეგიონში. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს ქმედებები, უფრო დიდი საფრთხის წინაშე იქნება საქართველოს უსაფრთხოება და ჩვენ შეიძლება მოგვიწიოს ჩვენო პარტნიორობის გადახედვა.

დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს ბევრი საერთაშორისო მხარდამჭერი ჰყავს და ჩვენ ძალიან გვსურს გავაგრძელოთ თქვენი ქვეყნის მხარდაჭერა. თუმცა, ჩვენ გვაქვს მოტივაცია, მხარი დავუჭიროთ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეგვეძლება საქართველოს დავეყრდნოთ როგორც სტაბილურ, სანდო და დემოკრატიულ პარტნიორს ამ საქმეში.

ჩვენ გულწრფელად გვაქვს იმედი, რომ თქვენ სწრაფად ეცდებით ამ დაღმასვლის შემობრუნებას და შეასრულებთ დაპირებებს, რომლებიც ქართველ ხალხს მიეცა“.

# ამირან გამყრელიძე: „ყაზბეგიდან ჩამოყვანილ 2 ჩინელ ბავშვს გრიპის „ა“ ტიპის ვირუსი დაუდგინდა“



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორ ამირან გამყრელიძის განცხადებით, ჩინეთის მოქალაქე 2 მცირეწლოვანს, რომლებიც ამ დროისთვის თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობენ, გრიპის „ა“ ტიპის ვირუსი დაუდგინდა.

მისივე თქმით, არასრულწლოვნებს, რომლებიც თავიანთ ოჯახთან ერთად მოგზაურობდნენ და იყვნენ ყაზბეგში, ჰქონდათ ტემპერატურული რეაქცია და რესპირატორული მოვლენების მცირე გამოვლინება.

– ამის გამო მიზანშეწონილად ჩაითვალა კონსულტაცია და შემდგომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მანქანებით ისინი თავის ოჯახთან ერთად გადმოიყვანეს ინფექციურ საავადმყოფოში. როგორც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია საავადმყოფოდან, იქ ჩატარდა სწრაფი ლაბორატორიული გამოკვლევა, ე.წ. სწრაფი ტესტი და ამ ბავშვებთან დადგინდა „ა“ ტიპის გრიპის ვირუსი. ამიტომ არავითარ კორონავირუსზე იქ საუბარი არ არის. თუმცა, რა თქმა უნდა, აღებულია ნიმუშები მოლეკულური კვლევისთვის, რომელიც მიმდინარეობს ლუგარის ცენტრში და მას სჭირდება რამდენიმე საათი, – განაცხადა გამყრელიძემ

ყაზბეგიდან ინფექციურ საავადმყოფოში გადმოყვანილი ჩინეთის 9 მოქალაქიდან 2 ბავშვს აღენიშნებოდა ტემპერატურის მომატება და ისინი მოთავსდნენ ბოქსირებულ განყოფილებაში.

# ნიკა გვარამიას სასამართლოს ეზოში თავს დაესხნენ



გუშინ, 30 იანვარს, ხმაური იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც „მთავარი არხის“ დამფუძნებელ ნიკა გვარამიაზე თავდასხმა ცადეს.

არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მამაკაცმა ნიკა გვარამიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მისი მოგერიება გვარამიას დაცვას მოუხდა.

მამაკაცი მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება დაიწყო.

როგორც ინტერპრესნიუსს უწყებაში განუცხადეს, მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.




# ცოტნე გამსახურდია გაალვიძეს

## ვერ ლაპარაკობს, მაგრამ გარემოს ადეკვატურად აღიქვამს



საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, კონსტანტინე გამსახურდია, თურქ ექიმზე დაყრდნობით აცხადებს, რომ მისი ძმა, ცოტნე გამსახურდია, რომელიც მკურნალობას თურქეთის კლინიკაში გადის, გაალვიძეს და ის გარემოს ადეკვატურად აღიქვამს.

„კარგი ამბავი: დაახლოებით 50 წუთის წინ სანდო წყარომ მამცნო ისტანბულის აჩიბადემის კლინიკის ექიმზე, ბატონ ოსმანზე დაყრდნობით, რომ ცოტნე გაალვიძეს. ექიმი მდგომარეობას აღწერს, როგორც ნორმალურს. გაღვიძებული გარემოს ადეკვატურად აღიქვამს, თუმცა მართვითი სუნთქვის აპარატის გამო ლაპარაკი ჯერ არ შეუძლია.

პატივისცემა ამ ექიმების მიმართ – მათ მართლაც ყველაფერი გააკეთეს“, – დაწერა კონსტანტინე გამსახურდიამ სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდია 19 დეკემბერს დაჭრეს. მას თავდაპირველად ხეჩინაშვილის კლინიკაში მკურნალობდნენ, შემდეგ კი თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს. გამსახურდიას დაჭრის ფაქტზე 4 პირია დაკავებული.

# გომელაურმა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები დააჯილდოვა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საქართველო-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთზე, შეიარაღებული პირის განიარაღებისა და დაკავების მიზნით, 14 იანვარს ჩატარებული წარმატებული ოპერაციისთვის სასაზღვრო პოლიციის 12 თანამშრომელი დააჯილდოვა. 4 მათგანს ღონისძიებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალი – „მამაცობისათვის“, 8 მესაზღვრე კი დაჯილდოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალიონით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

დაჯილდოების ცერემონიას მინისტრის მოადგილეები კახა საბანაძე და ვლადიმერ ბორცვაძე, სასაზღვრო პოლიციის უფროსი თემურ კეკელიძე და მისი პირველი მოადგილე კახაბერ ჩიქოვანი დაესწრნენ.

ვახტანგ გომელაურმა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს საქართველო-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებისას გამოჩენილი განსაკუთრებული პროფესიული პასუხისმგებლობის, გაბედული მოქმედებისა და სამაგალითო თავდადებისათვის მადლობა გადაუხადა.

# შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროპის საბჭოს პროექტის მმართველი საბჭოს შეხვედრას დაესწრო



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი ევროპის საბჭოს მიერ განხორციელებული პროექტის „არასრულწლოვან და ზრდასრულ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მხარდაჭერა“ მმართველი საბჭოს შეხვედრას დაესწრო.

შეხვედრის მონაწილეებმა პროექტის განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე იმსჯელეს და სამომავლო აქტივობები განსაზღვრეს.

პროექტის განხორციელება 2019 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდება. იგი მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებების დაცვის, არასრულწლოვან დამნაშავეთა მხარდაჭერის, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებების დაცვის, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის და სხვა მიმართულებების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ევროპის საბჭოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო დამცველისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „100/50-ზე მიუღებელია, „ოცნებას“ დათმობა მოუწევს“

## „ხელისუფლება, შესაძლოა, რუსეთთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდეს“

ნონა ცაბაძე

უკვე ყოველდღიურ რეალობად იქცა უმწვავესი წერილები ამერიკიდან ჩვენი ხელისუფლების მისამართით. ოპოზიციის ლიდერები სიტუაციას საგანგაშოს უწოდებენ, ხელისუფლება კი კვლავ ძველ პოზიციაზე რჩება და მიიჩნევს, რომ სენატორები არასწორი ინფორმაციის გავლენის ქვეშ არიან. „ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი საქართველოს“ ლიდერ **გიორგი ვაშაძეს** ესაუბრა.

***– ბატონო გიორგი, უპრეცედენტო შეტევად ფასდება ის, რასაც ამერიკელი სენატორები ახორციელებენ ჩვენი ხელისუფლების მისამართით. ბოლო წერილი განსაკუთრებით საგანგაშოაო. როგორია თქვენი შეფასებები?***

– გეთანხმებით, მართლაც უპრეცედენტოა. განსაკუთრებით ბოლო წერილი კიდევ უფრო ყოვლისმომცველი და ძალიან მაღალი რანგის იყო, იმიტომ, რომ სენატორები შაჰინი და რიჩი არიან ძალიან ავტორიტეტული თვითონ სენატში და ზოგადად ძალიან გავლენიანი სენატორები არიან.

***– რა აწუხებს ამერიკის შეერთებულ შტატებს?***

– ამერიკის შეერთებულ შტატებს აწუხებს საქართველოს პროდასავლური კურსის რყევა და ეს კარგად უნდა გვესმოდეს. მათთვის აბსოლუტურად დამტკიცებულია, რომ საქართველომ გადაუხვია პროდასავლურ კურსს! საქართველო აღარ მიდის დასავლეთისკენ და ის უფრო ხდება რუსეთის გავლენის სფერო.

ორი მთავარი პრობლემაა – პრორუსულობა და მთავრობის კორუმპირებულობა. ბოლო წერილში ძალიან დეტალურად არის ახსნილი, თუ რატომ წერენ ისინი ამ წერილს. განსაკუთრებული შეშფოთებაა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და ჩვენი მშვიდობიანი პროტესტის სრული მხარდაჭერაა. სიმართლე რომ ვთქვათ, „ქართული ოცნება“ გადახაზულია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

„ქართულმა ოცნებამ“ ნიღაბი ბოლომდე ჩამოიხსნა ჩვენი დასავლელი პარტნიორების თვალში, როგორც პრორუსულმა ძალამ. „ქართული ოცნება“ დამნაშავეა ქართული დემოკრატიის ხელყოფაში და სწორედ ამიტომ არის ასეთი მკაცრი განცხადებები.

***– „ოცნება“ არ ცდილობს სიტუაციის დალაგებას?***

– „ქართული ოცნება“ ცდილობს, ძალიან ბევრ ლობისტურ კომპანიას დაუკავშირდეს, თუმცა ყველამ უარი უთხრა მათ დახმარებაში. მე ვაპირებ, მარტში ვიყო ვაშინგტონში და უფრო ბევრ დეტალს გავარკვევ. მათ შორის ვაპირებ, რომ ამ სენატორებსა და კონგრესმენებს შევხვდე.

***– შესაძლოა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგესო და საკმაოდ შემაშფოთებელია ეს ყველაფერი.***

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს შეფასებები არის „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებით. ესაა გზავნილი საქართველოს მოსახლეობასთან. მე ვფიქრობ, რომ არჩევნების გზით გავისტუმრებთ „ქართულ ოცნებას“ და არანაირი საფრთხე ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას არ ექნება ამერიკასთან.



ჩვენი დასავლელი პარტნიორები ყველანაირად გვერდში დაგვიდგებიან, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები ჩვენს ქვეყანაში, ძალიან ბევრი დამკვირვებელი იქნება და უკვე ჩანს ეს ყველაფერი, თუმცა ამერიკა ჩვენს გასაკეთებელს ვერ გააკეთებს.

***– რას გულისხმობთ?***

– ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ, მივიდეთ არჩევნებზე და ეს ხელისუფლება გავუშვათ ისტორიის სანაგვეზე. ეს ხელისუფლება არის პრორუსული ხელისუფლება. ამერიკა სწორედ ამ ხელისუფლებას აკრიტიკებს და არა – ქვეყნის მოსახლეობას. ჩვენი სტრატეგიული თანამშრომლობა გაგრძელდება, როდესაც „ქართულ ოცნებას“ გავისტუმრებთ, თუმცა ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ არჩევნებს ისინი ჩაატარებენ. ჩვენ უნდა მივიყვანოთ ეს ყველაფერი ბოლომდე. სრული მხარდაჭერა გვაქვს ამერიკისგან, ევროპისგან, მაგრამ ჩვენს ხელშია გასაღები! უნდა მივიდეთ, აქტიურები უნდა ვიყოთ და არჩევნებშიც მივიღოთ მონაწილეობა.

***– რამდენად ადეკვატურად აღიქვამენ საკითხის სიმწვავეს? მათი განცხადებებიდან არ ჩანს, რომ ადეკვატური რეაქცია აქვთ ამ ყველაფერზე.***

– ვერ ხვდებიან კი არა, პანიკა აქვთ, მე ზუსტად ვიცი, იმიტომ, რომ ხელის ჩამორთმევა აღარავის უნდა „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ, რა ქნან, რაღაც განცხადებებით ხომ უნდა შეინარჩუნონ სიტუაცია?! „ქართული ოცნება“, უბრალოდ, გადასულია იმაზე, რომ რაც ჰყავს მხარდამჭერი, ის მაინც შეინარჩუნოს, აღარ დაკარგოს, თორემ ახალ მხარდამჭერს რომ ვერ მოიპოვებს. ეს ძალიან კარგად იცის. „ოცნება“ უკვე დასრულებულია, ეს არის და ეს!

***– რა ხდება ოპოზიციაში? 4 თებერვლიდან აქციები უნდა განახლდეს. ჯერჯერობით დათმობას არ აპირებს „ოცნება“, 100/50-ზეო, ასეთი შეთავაზება იყო ბოლოს. რას აპირებს ოპოზიცია?***

– პირდაპირ გეტყვით, რომ 100/50-ზე ჩემთვის მიუღებელია, ასეა დანარჩენი ოპოზიციურ პარტიებისთვის. „ქართულ ოცნებას“ აუცილებლად მოუწევს დათმობაზე წასვლა. მე, საერთოდ, საკონსტიტუციო ცვლილების რესურსს ნაკლებად ვხედავ. მე მაინც ვფიქრობ, რომ მათ მოუწევთ იმ გერმანულ მოდელზე დაბრუნება, რომელიც გაგზავნილი გვაქვს ოდირში.

***– როდის ელოდებით საბოლოო პასუხს?***

– სამწუხაროდ, პასუხი გაიწელა. ყველანი ველოდებით პასუხს ამ საკითხთან დაკავშირებით. ყველაფერი წინ არის და მე იმედი მაქვს, რომ, საბოლოო ჯამში, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

აუცილებლად უნდა შეიცვალოს საარჩევნო სისტემა და „ქართული ოცნება“, რომელიც კორონავირუსად იქცა საქართველოსთვის, უნდა მოვაშოროთ ქვეყნის მართვას. მე მივმართავ „ქართულ ოცნებას“ – დროულად გონს მოეგეთ, მთელი საერთაშორისო საზოგადოება უჭერს მხარს იმ პოზიციებს, რაც ოპოზიციას აქვს, რაც საზოგადოებას აქვს და, რაც მთავარია, ქართველ ხალხს უჭერს მხარს.

***– ბატონო გიორგი, სალომე ზურაბიშვილმა ღიად მოიწვია რუსეთის დელეგაცია საქართველოში მაისში დაგეგმილ მინისტერიალზე. თქვენ როგორ აფასებთ მის გამოსვლასა და განცხადებებს?***

– სალომე ზურაბიშვილი არის რუსეთის გავლენის აგენტი საქართველოში და ეს დადასტურებულია ფაქტებით! მე მრცხვენია, რომ ამ ადამიანს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ჰქვია! ჩვენ საგანგაშო ვითარებაში ვართ და, იმედია, ყველა გრძნობს პასუხისმგებლობას, ვინც მას, ნებით თუ ძალით, მოსყიდვითა თუ დაშინებით მხარი დაუჭირა.

დღეს ჩვენ, სამწუხაროდ, იმ რეალობაში ვართ, სადაც დასავლეთი, ამერიკა, ევროპა გვაკრიტიკებს და ტაშს გვიკრავს რუსეთი, რუსეთის დუმის წევრები. არ გამოვრიცხავ, რომ „ქართულ ოცნებას“ რუსეთის ხელისუფლებასთან ფარული მოლაპარაკებები ჰქონდეს, მათ შორის დიპლომატიური კომუნიკაციის აღდგენასთან დაკავშირებით.

# გია ხუხაშვილი: ამერიკაში თალაკვაძეს აგზავნიან და ცეცხლზე ნავთს დაასხამენ

## „ივანიშვილი იქამდე მივიდა, რომ ლამის კონგრესმენებსა და სენატორებსაც „ნაცები“ დაუძახოს“

იაგო ნაცვლიშვილი

ამერიკის შეერთებული შტატებიდან „ქართული ოცნების“ კრიტიკა არ წყდება. ამჯერად უკვე სენატორების კრიტიკული წერილი გავრცელდა. კომიტეტის თავმჯდომარე, „რესპუბლიკელი“ სენატორი ჯიმ რიში და ევროპის ქვედა კომიტეტის უმცირესობის „დემოკრატი“ ლიდერი, სენატორი ჯინ შაჰინი საქართველოს მთავრობას დემოკრატიული პრინციპების დაცვისკენ მოუწოდებენ და აფრთხილებენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გადაიხედოს.



„შეშფოთებული ვართ საქართველოში მიმდინარე პროცესებით. 29 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენ ვხედავდით დემოკრატიულ წინსვლას, ეკონომიკურ განვითარებასა და ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაბარებას. საქართველო მიღწეული წარმატებებით რეგიონში ლიდერი ქვეყანა იყო. მას შემდეგ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს განვითარებას. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეშფოთებული ვართ ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით, რომლებიც საქართველოში დემოკრატიას ასუსტებს. ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ ყველა პირი, რომელიც აპროტესტებს ქვეყანაში არსებულ ვითარებას, წავა ციხეში, ასევე საფრთხეს უქმნის განვითარებას. გვიჩნდება კითხვები, არის თუ არა საქართველო ჩვენს ღირებულებებთან დაახლოებული. ჩვენ მოტივირებული ვართ, საქართველოს მხარი დავუჭიროთ როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ განვითარებაში, თუმცა ეს იქამდე, ვიდრე საქართველო არის სტაბილური პარტნიორი, რომლის იმედი შეიძლება გვქონდეს“, – წერია სენატორების წერილში.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სიტუაცია იმდენად მწვავდება, რომ ქვეყანასა და ხელისუფლებას შორის გავლებული ზღვარი იშლება? რა მსგავსება და განსხვავებაა 2012 წლამდელ ვითარებასთან, როდესაც სააკაშვილის დამარცხება ასევე წარმოუდგენლად ჩანდა? – ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

***– მორიგი მწვავე განცხადებები გაკეთდა ამერიკის მხრიდან. სენატორები უკვე ურთიერთობების გადახედვაზეც კი ალაპარაკდნენ. ეს ნიშნავს, რომ „ოცნების“ პოლიტიკა უკვე მთლიანად ქვეყანას აზარალებს საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში?***

– ბუნებრივია, იმიტომ რომ, სამწუხაროდ, ხელისუფლებისა და სახელმწიფო პრობლემების ბოლომდე გამიჯვნა რთულია, იმიტომ რომ ეს ხელისუფლება განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას, ეს პოლიტიკა დასავლეთისთვის არის უცხო და მიუღებელი. ამას გვაგრძნობინებენ და ხელისუფლებას აძლევენ შანსს, რომ რაღაცა შეცვალოს.

განსაკუთრებით კრიტიკული იყო პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებული მათი წარმოუდგენელი ქმედება. როგორც ჩანს, მათ ვერ გათვალეს, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას, მაგრამ ძალაუფლების დაუოკებელმა წყურვილმა საერთოდ დაუბნელა თვალები და დაუხშო ლოგიკა. ახლა კი ამ მდგომარეობაში არიან, არ ეთმობათ არც ისიც, ერთ პოზაში დგანან და რაღაც უცნაურად იქცევიან.

ახლა თალაკვაძეს გზავნიან და ცეცხლზე ნავთს დაასხამენ. ის ილუზია, რომ რაღაცას მიაღწევენ, შეუძლებელია. თალაკვაძე კი არა, მსოფლიოში საუკეთესო დიპლომატი რომ გაუშვან, იმ სიტუაციაში, რომელშიც დღეს „ოცნებაა“ და როდესაც არგუმენტი არ გაქვს, რა უნდა გააკეთო?! პირიქით, უკუშედეგს მიიღებ.

***– გასაგებია, „ოცნების“ პოლიტიკას რა შედეგამდეც მივყავართ, მაგრამ აქამდე ასე იყო, რომ გამიჯნული იყო ხელისუფლება და ქვეყანა. დღეს თითქოს ეს ზღვარი წაიშალა. რატომ?***

– დღესაც გამიჯნულია. ისინი მხარს უჭერენ ქვეყანას, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელია არსებული პოლიტიკა. მთლიანად გამიჯნული ვერ იქნება, იმიტომ რომ, თუ ეს სახელისუფლებო პოლიტიკა გაგრძელდა, ბუნებრივია, ინტერესთა დაპირისპირება იქნება და, შესაბამისად, აქ ერთადერთი გზაა – სახელმწიფო შეუქცევად ეტაპზე გადადის. ეს გზა არის ისეთი, რომ ან ხელისუფლება ცვლის თავის პოლიტიკას, ან ხელისუფლება იცვლება. ყველა სხვა შემთხვევაში სახელმწიფო ზიანდება ძალიან სერიოზულად.

***– თქვენ რომელი უფრო რეალურად მიგაჩნიათ?***

– არ ვიცი. სამწუხაროდ, მესამე გზაც არის და მეოთხეც. მე ვისურვებდი, რომ ამ ხელისუფლებას შეეცვალა პოლიტიკა, იმიტომ, რომ ხელისუფლება არჩევნებით იცვლება, ოქტომბრამდე კიდევ ბევრი დროა, კიდევ ბევრი რამე მოხდება და შეიძლება, ჩვენ მივიღოთ სერიოზული ზიანი. ამიტომ, მე ვფიქრობ, უკეთესია, თვითონ ხელისუფლებამ გამოიჩინოს ადეკვატურობა და რაღაცა შეცვალოს.

***– სხვათა შორის, სენატორების წერილში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის საკითხიც იყო ხაზგასმული. ეს ნიშნავს, რომ ეს საკითხიც განსაკუთრებულად აღელვებთ მათ?***

– რა თქმა უნდა. ძალიან ძნელია რამის დამტკიცება, შენ რაც არ უნდა ჩახვიდე და უმტკიცო, რომ აქ საუბარი მართლმსაჯულებაზეა და არანაირ პოლიტიკურ დევნაზე არ არის, ამას ვერ მოახერხებ, იმიტომ რომ, როდესაც ოპოზიციის პრაქტიკულად ყველა ლიდერზე საქმე აღძრულია, ძნელია დამტკიცება. მაინცდამაინც არჩევნების წინ რომ გაგისკდა სამართლიანობის ბუშტი, არადამაჯერებელია ეს, მით უმეტეს, რომ პრაქტიკულად ყველა ეს საქმე ხანდაზმულია.

როდესაც ხანდაზმულ საქმეებს არ იძიებ წლების განმავლობაში და არჩევნების წინ იწყებ ფაფხურს, ბუნებრივია, შენ სამართლებრივ ანალიზში არავინ შემოგყვება, იმიტომ, რომ ყველას უჩნდება განცდა, ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური დევნისთვის დაწყებული საქმეები, თუნდაც მართალი იყოს. სად იყავი ეს წლები? იგივე „თიბისის“ საქმე 11 წლის წინანდელია, რომელიც საიდანღაც ამოქექეს. ჯერ ერთი, სამართლებრივადაც გაუმართლებელია, გარდა ამისა, ხანდაზმულია. შენ მიდი და ვიღაცას უმტკიცე, რომ პოლიტიკურ დევნასთან არ გაქვს საქმე.

***– არა მარტო ეს, ბევრია ამოქექილი საქმე, იმავე ბოკერიას ამოუქექეს საქმე.***

– რა თქმა უნდა. ამაშია საქმე. ძალიან სასაცილოა, როდესაც გიგა ბოკერიასა და გიგი უგულავას ვიცავ, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც ასეთი რამე ხდება, რომ მოჭიდავე თავს ესხმის ბოკერიას და ბოკერიაზე აღძრავენ საქმეს, ეს ხომ ტრაგიკომედიაა.

***– ივანიშვილისა და „ოცნების“ ნარატივია, რომ ოპოზიცია სუსტია და ამის ხარჯზე კვლავ უმრავლესობას მოიპოვებენ. გაავლეთ პარალელი 2012 წლამდე ვითარებასთან, სანამ ივანიშვილი გამოჩნდებოდა თავისი რესურსებით, მაშინაც წარმოუდგენლად ჩანდა მიშას დამარცხება.***

– სიტუაცია რადიკალურად განსხვავდება. მაშინ შუას გაკრეფა სწორი იყო. მოხდა საზოგადოების სრული კონსოლიდაცია მათ შორის, ვისაც არსებული ხელისუფლება არ მოსწონდა. ფრონტის ხაზი გაივლო და ამ ნიშნით განვითარდა ყველაფერი. დღეს სხვა მოცემულობაა. ჩვენ წინაშეა ორი კომპრომეტირებული პოლიტიკური ძალა – გუშინდელი დღე და დღევანდელი. ამ დროს ამომრჩევლის უმრავლესობას არც წარსული უნდა და არც აწმყო, სრულიად ახალი მომავალი უნდა. აქ უკვე ჩნდება ძალიან დიდი პრობლემა. შესაბამისად, დღეს ფრონტის ხაზის გატარება ვერ ხერხდება და ეს სპეციფიკა ამოცანას ბევრად უფრო რთულს ხდის.

ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, მოახდინოს მობილიზება და ყიდვა, რასაც ის შეძლებს, ხოლო ვისაც ვერა, ყველა ნაციონალური მოძრაობის ნავში ჩასვას და ყველას „ნაცები“ ეძახოს. იქამდე მივიდა, რომ ლამის კონგრესმენებსა და სენატორებსაც „ნაცები“ დაუძახოს. ივანიშვილი ეცდება, ყველა ჩასვას მეორე პოლუსზე, მერე მათი დემონიზაცია და კომპრომეტაცია მოახდინოს და ამის ხარჯზე „იბანაოს“, გამომდინარე იქიდან, რომ მონოპოლური რესურსები ხელში უჭირავს. ეს არის მისი გეგმა.

***– საინტერესოა, ივანიშვილის ლოგიკით, ბურჯანაძეც „ნაცია“, ახლა, როცა ოპოზიციის ერთიან ფორმატში უპირისპირდება „ოცნებას“?***

– ბურჯანაძეც „ნაცია“, თქვენც „ნაცი“ ხართ, მეც „ნაცი“ ვარ, მთელი სამყარო „ნაცია“. ვინც „ქოცი“ არ არის, ყველა „ნაცია“. ეს არის მისი მარტივი ლოგიკა. თუ, საბოლოო ჯამში, მოახერხა ის, რომ გარკვეულ სეგმენტში, განსაკუთრებით მოწყვლადი სეგმენტი დატოვა არჩევნების გარეშე... ყველაზე ვერ მოახდენს ამას, მაგრამ გარკვეულ სეგმენტზე მუშაობს. ადამიანი არჩევნებზე არ მიდის ან, თუ მიდის, ამბობს, არც ეს მომწონს და არც ის და, ვინც მეტს გადამიხდის, იმას გადავუგდებ ხმასო. აი, ამ სეგმენტის იმედზეა. ჯერ ეცდება, პროპაგანდისტული მანქანით ორპოლუსიანობა იძახოს და მერე ყოყმანის რეჟიმში მყოფი ამომრჩეველი იყიდოს.

***– ასეთ პრიმიტივიზმამდე დაიყვანება დღეს ქართული პოლიტიკა?***

– ბევრი რამე ოპოზიციაზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს ის, რომ ადეკვატური იყოს. მე ვფიქრობ, სწორი გეგმაა, პროპორციულში მაქსიმალურად გაიშალოს ველი, რომ ყველა სეგმენტი მოცული იყოს და პროპორციულ არჩევნებში ერთიან კონსოლიდაციაზე არ უნდა იყოს საუბარი. რაც უფრო გაიშლება ფრონტი, მით უფრო მეტი პრობლემა ექნება ხელისუფლებას, მაგრამ, მაჟორიტარულს რაც შეეხება, მაჟორიტარულ არჩევნებში სრული კოორდინაცია უნდა იყოს, რომ ერთმანეთს ფეხებში არ გაებლანდონ. ეს როგორ მოხდება, ცალკე საუბრის თემაა.




**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# „ივანიშვილს ამერიკული ინტერესების შელახვისთვის მომავალშიც მკაცრად მოჰკითხავენ“

## მირიან მირიანაშვილი: „ამერიკელებმა საქართველოში მოქმედი რუსული პოლიტიკური თეატრი დაანგრიეს“

მარიამ მჭედლიშვილი



რას მოასწავებს კრიტიკის ქარიშხალი ვაშინგტონიდან? რა კავშირი აქვს ამერიკული კომპანია „ფრონტერას“ შევიწროებას რუსეთის პრეზიდენტის მუქარასა და შურისძიებასთან? რაში ამხილეს ამერიკელებმა ბიძინა ივანიშვილი? როდის დადგება ახალი პოლიტიკური ეპოქა საქართველოში? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ **მირიან მირიანაშვილს**.

***– „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, თბილისის მერი კახა კალაძე აცხადებს, რომ ამერიკელი კონგრესმენების ტონი მიუღებელია. საუბარია ამერიკელი კანონმდებლების მწვავე კრიტიკული წერილების მთელ სერიალზე.***

– ამერიკელი პოლიტელიტის ტონი საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისთვის გასახარი ვერ იქნება. ეს უბრალოდ მკაცრი ტონი კი არა, ლანძღვა-გინებაა. ერთ წერილში პირადად ბიძინა ივანიშვილს ერთ-ერთ გმირს, ნაგვის ბუნკერში მცხოვრებ ბაყაყსაც კი ადარებენ. ამერიკის პოლიტიკური კლასის მძაფრი წერილები ესტაფეტის სახეს ატარებს. ამ ყველაფერს თავისი მოტივები აქვს. გახსენდებათ, ვის მიმართ არის მსგავსი დამოკიდებულება ამერიკიდან?!

***– თუ აშშ-ის სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებს არ ჩავთვლით, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოს ზოგიერთი დიქტატორის მიმართ.***

– ადრე ჩრდილოეთ კორეის ლიდერისადმიც მსგავსი დამოკიდებულება იყო. ასე მოიხსენიებენ რუსეთისა და ირანის მმართველებს, ასევე – ვენესუელელ ნიკოლას მადუროს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების რეაქციას თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ისინი ბაიბურში არ არიან, რა შეიძლება მოჰყვეს ამ განცხადებებს.

***– აშშ რომ საქართველოში უნდა გააქტიურებულიყო, ეს ვიცით. ასეთი მძაფრი შეფასებები და მკაცრი ტონი რამ გამოიწვია?***

– მოვლენების საბაბი გახდა ტეხასური სანავთობო კომპანია „ფრონტერა“. ტეხასელი სენატორი ტედ კრუზი იყო ჩრდილოეთის ნაკადის აკრძალვის კანონის ინიციატორი. ჩრდილოეთის ნაკადი რუსეთისთვის სასიცოცხლო მილსადენია. კანონის მიღებამდე პუტინის გარემოცვა ტედ კრუზს დაემუქრა. ტეხასელ სენატორს კრემლიდან შეუთვალეს, რომ თუ ამ კანონს გაიტანდა, „ფრონტერას“ პოსტსაბჭოთა სივრცეში არ გააჩერებდნენ. კანონი გავიდა და პუტინმა სენატორ კრუზზე შური იძია.

***– საქართველოში ამიტომ არ მიეცა გასაქანი „ფრონტერას“?***

– რასაკვირველია. ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების მკაცრი ტონი და რუსეთის ხსენება ნიშნავს იმის ხაზგასმას, რომ ივანიშვილმა შეასრულა პუტინის დავალება. „ფრონტერას“ ისტორია გახდა ივანიშვილის პრორუსული რეჟიმის მხილების საშუალება.

ის, რასაც ქართული მხარე ედავება ამერიკულ „ფრონტერას“, სასაცილოა. თურმე კომპანიამ გადაჭარბებით განსაზღვრა საქართველოში არსებული მარაგი. ამას აკეთებს ყველა კომპანია. მარაგების გაზვიადება გავრცელებული პრაქტიკაა. ამით რეკლამა უკეთდება როგორც თვითონ კომპანიას, ისე სახელმწიფოს, სადაც მარაგებია განლაგებული.

ბიძინა ივანიშვილს ამერიკიდან კულუარულად შეუთვალეს, ხელი არ ეხლო „ფრონტერასთვის“. მან გაფრთხილება ყურად არ იღო. ჰოდა, ამერიკიდან მძაფრი კრიტიკაც წამოვიდა. ივანიშვილს ამის გამო უწოდებენ რუსეთის ინტერესების გამტარებელს.

პუტინის მუქარის შესრულებამ საქართველოში სრულად ახადა ფარდა საქართველოში არსებულ რეალობას. ამერიკაში დარწმუნდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური კლასი ასრულებს რუსეთის დაკვეთებს. ის არის რუსეთის ოლიგარქატის განშტოება.

***– ეს რისი მომასწავებელია?***

– იმისი, რომ აშშ არ დაუშვებს ივანიშვილის სისტემის გაგრძელებას 2020 წლის არჩევნების შემდეგ. ორპოლუსიანობა ჩამოიშლება. პრაქტიკულად, ივანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული ორპარტიულობა, რომელსაც კოაბიტაციასაც ეძახიან, დაინგრა. ერთი პოლუსი, „ქართული ოცნება“, აღარ არსებობს. ამისი კონსტატაცია მოხდა. მომავალში ეს პოლიტიკურად გაფორმდება. ამიტომ საზოგადოებამ „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის რეალური ალტერნატივა უნდა მოძებნოს.

***– თქვენივე ინფორმაციით, ალტერნატივად ხალხსა და დასავლეთს ბოკერიას პარტიასა და „ლელოს“ სთავაზობდნენ, დავით უსუფაშვილის კანდიდატურის მომავალი პარლამენტის თავმჯდომარედ ამერიკელებთან შეთანხმებაც იგეგმებოდა.***

– ეგენიც რუსულ ბანაკში შედიან და ივანიშვილთან გარიგებულები არიან. ძველი სისტემა ინგრევა. ბოკერია, უსუფაშვილი, ხაზარაძე – ესეც, ორპარტიულობასთან ერთად, რუსული სისტემაა, რომელიც აღარ არსებობს. რუსული სქემებით, იგეგმებოდა ხელისუფლების გადაბარება. ივანიშვილს „ოცნების“ ფრაქციის სახით თავისი საყრდენი ეყოლებოდა, თვითონ კი იმავე როლს შეასრულებდა, რა როლიც ჰქონდა სააკაშვილის დროს.

***– ეს ვეღარ განხორციელდება?***

– ამერიკულმა დემარშმა ახალი რეალობა დაბადა. ასეთ შემობრუნებას საქართველოს პოლიტიკოსები არ ელოდნენ. რუსეთიდან დირიჟირებულ პოლიტიკურ თეატრს პრობლემები შეექმნა. საზოგადოებაც ნაკლებად მოტყუვდება. რუსეთიდან ნაკარნახევი ნარატივის შესაბამისად მართული პირები ხალხს ეუბნებოდნენ, თითქოს ამერიკელები მოითხოვენ ივანიშვილის დაბრუნებას პრემიერად. მედია ასეთ „ექსპერტებს“ დიდად აპიარებდა.

***– ახალი რეალობა კიდევ რას მოიტანს?***

– უმწვავესი რეაგირება იქნება ყველაფერზე. პროამერიკული ძალის შევიწროებას საქართველოს ხელისუფლებას აღარ აპატიებენ. ულტიმატუმებია მოსალოდნელი იმ შემთხვევაშიც, თუ ამერიკულ ბიზნესს შეეხებიან.

***– ოპოზიციური ერთობის ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ამერიკელების მწვავე განცხადებები გამოიწვია 4 ოპოზიციონერი ქალის ვიზიტმა აშშ-ში.***

– ჩვენი პოლიტიკოსები დრამატული როლების შესრულებას მიჩვეული არიან. ეს განცხადება უფრო საცირკო ნომერია. რა შუაშია 4 ოპოზიციონერის ვიზიტი! ამერიკელები ასე იქცევიან ყველგან, სადაც რეალობის შეცვლა უნდათ.

***– მსგავსი მოვლენები მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც?***

– ყველგან. აფრიკის, აზიის ყოფილ კოლონიებში მეოცე საუკუნეში ამგვარი ცვლილებები ხდებოდა. ამერიკა მეტ ყურადღებას უთმობს პოსტსაბჭოთა სივრცეს, განსაკუთრებით, საქართველოს. საქართველო ამერიკისთვის პრიორიტეტულია.

***– რუსული პოლიტტექნოლოგიური სქემებიც ვეღარ იმოქმედებს?***

– აქ მთავარია რეჟისორებისა და დირიჟორების გაჩერება. ქართველი პოლიტიკოსები მსახიობები არიან. ისინი ქვედა რგოლს წარმოადგენენ. პოლიტიკურ თეატრს დარტყმას ზევიდან მიაყენებენ.

***– საქართველოში არჩევნების შემდეგ ახალი პოლიტიკური ეპოქა დგება?***

– ახალი პოლიტიკური ეპოქა არჩევნებამდე დადგება. არჩევნების შემდეგ ის გაფორმდება. „ფრონტერას“ ამბავი საბაბი იყო მოვლენების დასაქოქად. ის დროსა და სივრცეში სინქრონიზებული აღმოჩნდა სხვა უმნიშვნელოვანეს პროცესებთან.

სიმპტომატურია, რომ აშშ-ის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ჩამოსვლა საქართველოში ამ მოვლენების დასაწყისს დაემთხვა.

# დავით ლორთქიფანიძე: „მე აბსოლუტურად არ მწყინს და არ ვსვამ კითხვას, რატომ აგზავნის ამერიკა წერილებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი **დავით ლორთქიფანიძე** პასუხობს.

***– ბატონო დავით, ბოლო დროს პრემიერის სახელზე ამერიკელი კონგრესმენებისა და სენატორების მიერ გამოგზავნილ მრავალრიცხოვან წერილებს ვისმენთ, სადაც საქართველოს ხელისუფლებისადმი მთელი რიგი პრეტენზიებია გამოთქმული. როგორც სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი, რას ფიქრობთ? ეს ხომ არ არის ორკესტრირებული შეტევა „ოცნებაზე“, რომ 2020 წლისთვის ხელისუფლება დათმოს?***

– ორ პარტნიორ სახელმწიფოს შორის ასეთი სახის ურთიერთობაში კატეგორიულად მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. მთავარია, რამდენად შეესაბამება ტექსტში მოყვანილი ფაქტები რეალობას. ვფიქრობ, პარტნიორი ქვეყნიდან გამოგზავნილი წერილები არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. ყველაფერზე არგუმენტირებული და ადეკვატური პასუხი უნდა იყოს. ამერიკულ მხარესთან ურთიერთობები გასააქტიურებელია. ამაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა და უნდა შეასრულოს საქართველოს საელჩომ ამერიკაში.

***– თუკი ამერიკულ მხარეს საქართველოზე ინფორმაცია არ აქვს, რას აკეთებდნენ სახელისუფლებო შტოების წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი?***

– ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, აღმასრულებელ ხელისუფლებას რა სახის ურთიერთობა აქვს აშშ-სთან, მაგრამ ფაქტია, რომ ნამდვილად რაღაც დააკლდა ამ ურთიერთობას, რაც აბსოლუტურად მიუღებელი და გამოსასწორებელია. ამიტომ განმარტებები ფორსირებულად არის გასაკეთებელი. საჭიროა ადგილზე ჩასვლა და საუბრები, მაგრამ არა გაბრაზებული პოზიციიდან. ამბობენ, რომ ბევრი ფაქტი დაზუსტებას საჭიროებს, მაგალითად, „ფრონტერასთან“ დაკავშირებით, რომლის საკითხი საერთაშორისო სასამართლოშია.

***– ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის თავზე შავი ღრუბლები იკრიბება და მალე სეტყვა წამოვა. თქვენ თუ ხედავთ შავ ღრუბლებს?***



– ოპოზიციის როლი და თვითმიზანი, განსაკუთრებით, საარჩევნო წელს საზოგადოების დასანახად ხელისუფლებისთვის ობსტრუქციის მოწყობა და საზოგადოების თვალში მისი იმიჯის დაკნინებაა. მე აქ განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ – ჩვენი ოპოზიცია უარყოფითსა და ობსტრუქციაზეა აწყობილი, თუმცა ამის საპირწონედ ხელისუფლებას ნამდვილად მართებს გააქტიურება, თუნდაც ქვეყნის შიგნით.

***– სენატორის წერილში ლაპარაკია სასამართლო ხელისუფლებაზე. როგორ ფიქრობთ, ის ბატალიები, რომლებიც იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევასთან დაკავშირებით, სახელშელახული მოსამართლეების დატოვება ამ სისტემაში თავის გამოძახილს არ ჰპოვებდა?***

– რომელ მოსამართლესაც გაუვიდა სამოსამართლეო ვადა, მათგან ბევრს უფლებამოსილება არ გაუგრძელდა. ზოგ მოსამართლეს მიეცა საშუალება, უვადოდ (საპენსიო ასაკამდე) დანიშნულიყო. სასამართლო ხელისუფლება წინა რეჟიმის დროს ძალიან სერიოზული კრიტიკის ობიექტი იყო აბსოლუტურად საფუძვლიანად. ეს ყველას გვახსოვს. დღეს კვლევების უმრავლესობა სასამართლო ხელისუფლებაში ვითარების გაუმჯობესების კუთხით ბევრ პოზიტივს აჩვენებს. ყველაფერი იდეალური არ არის. უმჯობესია, ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიის პირობებში სასამართლოში კიდევ უფრო უკეთესი მდგომარეობა იყოს. შეიძლება, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი პარტნიორების პრეტენზიები საფუძვლიანი იყოს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მათი პრეტენზიები ქართული სახელმწიფოსადმი კეთილგანწყობიდან გამომდინარეა.

***– პროპორციული საარჩევნო სისტემის პროექტის ჩავარდნის შემდეგ ამერიკაში ნაცმოძრაობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. როცა ამერიკიდან დაბრუნდნენ, კმაყოფილებით ყვებოდნენ, რომ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ ბევრი ინფორმაცია მიაწოდეს ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებს. დღეს ჩვენ ვხედავთ მის შედეგებს. ერთ-ერთი პრეტენზია პროპორციული არჩევნების ჩატარებაც არის. ხელისუფლებას ამაზე რა პასუხი აქვს?***

– პროპორციული არჩევნები, მაჟორიტარული არჩევნები და შერეული არჩევნები დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, შერეული სისტემა ანტიდემოკრატიულად არავის უცვნია, მით უმეტეს, აშშ-ში მაჟორიტარული არჩევნები სრულად აპრობირებული ფორმაა. განცხადება, რომ ჩვენ უნდა გადავსულიყავით პროპორციულ არჩევნებზე, დათვური სამსახური გაუწია ჩვენს ხელისუფლებას.

***– რას გულისხმობთ?***

– ნაცვლად იმისა, რომ ამას ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების მიმართ კონსტრუქციულ რეჟიმში გადასვლა მოჰყოლოდა (საარჩევნო გარემო მშვიდი ყოფილიყო და საზოგადოებისთვის პროგრამები შეგვეთავაზებინა), პირდაპირ ღირსების შემლახავი განცხადებების ობიექტები გავხდით – ამბობდნენ, რომ ჩვენ ვიყავით მონები, რომ პროპორციული არჩევნები გამოგვტყუეს და ა.შ.

***– ამერიკიდან გამოგზავნილი წერილები ხელისუფლებას არ ასუსტებს და ოპოზიციას არ აძლიერებს?***

– ერთი წამითაც არ მინდა დავიჯერო, რომ ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები ჩვენი ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად არიან განწყობილნი. ისინი ცდილობენ, დემოკრატიის გზაზე შემდგარ ქვეყანას რაიმე ხიფათი არ შეექმნას. მათი წერილები ოპოზიციას აძლიერებს და ხელისუფლებას ასუსტებს თუ არა, ამის ინდიკატორი არჩევნებია. არჩევნებში გამოჩნდება, ჩვენი საზოგადოება ამ წერილებით გამოწვეულ აჟიოტაჟს როგორ აღიქვამს და როგორ რეაგირებს.

თუ დავინახავთ, რომ ჩვენი ხელისუფლებისთვის უარყოფითი შედეგი იქნება, ე.ი. იმ წერილებმა გავლენა მოახდინა. დემოკრატია არის უმრავლესობის კულტივირება და გაზიარება უმცირესობის მიერ. ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, რა რეაგირება ექნება ოკეანის გაღმიდან გამოგზავნილ წერილებს. მე აბსოლუტურად არ მწყინს და არ ვსვამ კითხვას, რატომ აგზავნიან წერილებს. ხელისუფლებას აქვს ძალიან დიდი რესურსი, რეაგირება მოახდინოს.

***– არც ის გწყინთ, რომ თქვენს ხელისუფლებას პრორუსულობას აბრალებენ?***

– ეს არის მათი პიროვნული ხედვები. თვითონ ასე აღიქვამენ და სახელმწიფო პოზიციას არ წარმოადგენს. ამერიკის სახელმწიფოს დეპარტამენტს ამის თაობაზე არანაირი კითხვის ნიშნები არ აქვს. ძალიან დადებით ფაქტორად აღვიქვამ ამერიკის ახალი ელჩის ჩამობრძანებას. მას ძალიან დიდი დიპლომატიური გამოცდილება აქვს და ძალიან მოკლე დროში კარგად შეაფასებს აქ არსებულ რეალურ ვითარებას, შესაბამისად, სახელმწიფო დეპარტამენტს მიაწვდის რეალურ და ამომწურავ ინფორმაციას.

***– საქართველოს ელჩი ამერიკაში ჩვენს პარტნიორებს ინფორმაციას არ აწვდის?***

– ვფიქრობ, ამერიკაში საქართველოს ელჩმა ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, სხვადასხვა დონეზე თუ რა მუშაობა იქნა შესრულებული. თუ ყველაფერი გაკეთდა და მაინც არის ის რეალობა, რომელიც დღეს არის, ვერაფერს ვიტყვით, ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა და ვერავინ ვერავის დაუშლის, თავისი პოზიცია გამოხატოს სიტყვიერად ან წერილობით.

# მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესზე მოწმე გიორგი ჯახუა დაიკითხა

გუშინ, 30 იანვარს, ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი თვითმხილველი მოწმე გიორგი ჯახუა დაკითხეს. როგორც ჯახუა აცხადებს, მან ფარდულიდან გამოსული სისხლიანი დავით სარალიძე დაინახა.

– დავინახე, სარალიძე ფარდულიდან ბარბაცით გამოდიოდა და ფეხიდან სისხლი მოსდიოდა. სარალიძესთან დასახმარებლად მივედი, ამ დროს ვიღაც ბიჭი ყვიროდა, არ გაუშვათო, დადუნაშვილი არკაში შემოვიდა და ვიღაც ბიჭს ფეხი დაარტყა, შემდეგ გუგა ბარბაქაძე მივიდა დადუნაშვილთან. რა მიმართულებით იქნევდა ხელს, ვერ დავინახე, რადგან დადუნაშვილი მეფარებოდა, ზურგით იდგა, – განაცხადა გიორგი ჯახუამ.

საქმის პროკურორ ბესიკ ქვარცხავას განცხადებით, მოწმემ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ დაინახა ფარდულში მიხეილ კალანდია.

– მოწმემ განაცხადა, რომ მან დაინახა, შემთხვევის ადგილზე ბრალდებული მ.კ. როგორ შევიდა სწორედ იმ ფარდულში, სადაც იმყოფებოდა გარდაცვლილი დავით სარალიძე, ასევე ამავე საქმეზე მსჯავრდებული გ.ჯ. მოწმემ ასევე ისაუბრა იქ მყოფი პირების როლზე, ვინ რა მოქმედებებს ასრულებდა.

გარდა ამისა, სხდომაზე გამოკვლეული იქნა შემთხვევის ადგილის ამსახველი ფოტოსურათები, რომლებიც მხარეებმა ერთობლივად გამოვიკვლიეთ, – განაცხადა ქვარცხავამ.

მიხეილ კალანდიას ადვოკატ ზურაბ თოდუას განცხადებით, მოწმის ჩვენებით იკვეთება, რომ მსჯავრდებულები, გუგა ბარბაქაძე და გიორგი ჯანაშია, ცრუ ჩვენებებს იძლევიან.

– ეს მოწმე იმ ერთ-ერთ მოწმეთაგანია, რომელმაც თავიდან ბოლომდე იხილა ხორავას ქუჩაზე განვითარებული მოვლენები მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ჯანაშიამ სარალიძე ფარდულში შეაგდო. ამ მოწმის მიერ მოწოდებული ჩვენებით დასტურდება ჩვენი პოზიცია იმის თაობაზე, რომ გუგა ბარბაქაძე და გიორგი ჯანაშია ცრუ ჩვენებას იძლევიან.

მოწმემ დაასახელა ის ადგილი, საიდანაც ფაქტობრივ გარემოებას უყურებდა. მის მიერ აღწერილ გარემოებაში ჯანაშიას და ბარბაქაძის მდგომარეობა, როცა ისინი ამბობენ თითქოს, დაინახეს კალანდია თუ რას აკეთებდა, ამ მოწმის ჩვენებით ეს არ დასტურდება, – განაცხადა ადვოკატმა თოდუამ.

# ძმები ფეიქრიშვილების აფეთქების მცდელობისთვის სუსმა ბიბილური, ცინცაძე და კიდევ 4 პირი დააკავა

## „ცოტა ხნის წინ გიორგი ფეიქრიშვილის მანქანა დაწვეს“



29 იანვარს უსაფრთხოების სამსახურმა ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგად ორი პიროვნება, ბიბილური და ცინცაძე, აიყვანა.

მათ ბრალად ედებათ გიორგი და დავით ფეიქრიშვილების აფეთქების დაგეგმვა მათსავე მანქანაში.

ამ საკითხზე გუშინ, 30 იანვარს, სუსში ბრიფინგი გაიმართა.

სუს-ის ცნობით, ერთდროულად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, თბილისსა და ბათუმში, სასამართლო განჩინების საფუძველზე, დაკავებულია საქართველოს 6 მოქალაქე. კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დამამძიმებელ გარემოებებში ორი პირის, განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე თბილისში საქართველოს 2 მოქალაქე: გ.ბ და ბ.ც, ხოლო ბათუმში, ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, დამზადების და გასაღების ფაქტზე საქართველოს 4 მოქალაქე: რ.ბ, ნ.ბ, გ.თ. და ი.მ. დააკავეს.

საქართველოში მიმდინარე დაკავების ღონისძიებების პარალელურად, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ქალაქ ხარკოვში ამავე დანაშაულთან კავშირში მყოფი პირი, უკრაინის მოქალაქე ბ.მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ უკრაინაში დაიგეგმა ქალაქ თბილისში მცხოვრები საქართველოს 2 მოქალაქის, ძმების, გიორგი და დავით ფეიქრიშვილების, განზრახ მკვლელობა, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის და სპეციალური დისტანციურად მოქმედი ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით უნდა განხორციელებულიყო. დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შეირჩა ლიკვიდაციის ადგილები და დეტალურად შემუშავდა აღნიშნული პირების ავტომანქანაში აფეთქების გეგმა.

გამოძიების ინფორმაციით, ფეიქრიშვილების ლიკვიდაციის მიზნით უკრაინაში მყოფი პირი დაუკავშირდა უკრაინის მოქალაქეს, რომელიც ვითარების შესასწავლად თბილისში გამოაგზავნა.

თბილისში ყოფნისას, აღნიშნულმა პირმა რამდენიმე შეხვედრა გამართა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან, საქართველოს მოქალაქე გ.ბ.-სთან და ბ.ც-სთან. გ.ბ-მ უკრაინის მოქალაქეს მიაწოდა ინფორმაცია ძმების, მათი ოჯახის წევრების, არასრულწლოვანი შვილების და ახლო კავშირების საცხოვრებელი სახლების განლაგების და საზოგადოებრივი თავშეყრის იმ ადგილების შესახებ, რომლებსაც ხსენებული პირები სტუმრობდნენ და აღნიშნული ინფორმაციის შესწავლა დაავალა.

დანაშაულის შესრულების მიზნით, გ.ბ.-მ უკრაინის მოქალაქეს გადასცა ცეცხლსასროლი იარაღი – პისტოლეტები, ავტომატები ვაზნებითა და დამატებითი მჭიდებით და ფულადი თანხის ნაწილი 4.000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც საჭირო იყო თავდასხმის ოპერაციის დაგეგმვის, მომზადებისა და სხვა ხარჯებისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ თავდასხმის ერთ-ერთ ფორმად ძმები ფეიქრიშვილების ავტომანქანაში აფეთქება განიხილებოდა, გ.ბ-მ უკრაინის მოქალაქეს მათი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ავტომობილის აფეთქებისთვის საჭირო დისტანციურად მოქმედი ასაფეთქებელი მოწყობილობა და 1 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი უკრაინის მოქალაქეს ბ.ც-მ გადასცა.

გამოძიების ინფორმაციით, დანაშაულის მომზადების პროცესში გ.ბ. და ბ.ც. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ კონსპირაციის ნორმების დაცვით. ისინი ერიდებოდნენ პირდაპირ კომუნიკაციას თბილისში მყოფ უკრაინის მოქალაქესთან, შეხვედრების შესახებ მობილური ინტერნეტაპლიკაციის გამოყენებით წინასწარ ათანხმებდნენ უკრაინაში დამკვეთთან, ხოლო შემდგომ დამკვეთი, შუამავლის მეშვეობით, შეხვედრის დროსა და ადგილს თბილისში მყოფ უკრაინის მოქალაქეს აცნობებდა.

შეხვედრაზე მისვლამდე გ.ბ. და ბ.ც. გადაადგილდებოდნენ შენიღბულები, იყენებდნენ ე.წ. კაპიუშონიან ქურთუკს, ქუდს, სამედიცინო პირბადეს. შეხვედრაზე მისული ბ.ც. ბინაში შესვლისთანავე იფარავდა სახეს შარფითა და ნიღბით. ქალაქში გადაადგილებისას ცდილობდნენ, არ დაფიქსირებულიყვნენ სათვალთვალო კამერებზე ისე, რომ მომავალში შესაძლო ყოფილიყო მათი იდენტიფიცირება.

თავის მხრივ, საქართველოს ოთხმა მოქალაქემ რ.ბ-მ, ნ.ბ-მ, გ.თ-მ, და ი.მ-მ, სავარაუდოდ, უკრაინაში მყოფი ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტებისგან მიღებული დავალების თანახმად, ორგანიზება გაუწიეს დისტანციური ასაფეთქებელი მოწყობილობის კუსტარულ დამზადებას.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რ.ბ-მ უკრაინიდან მიიღო დავალება, დაემზადებინა 2 ცალი დისტანციური მოქმედების ასაფეთქებელი მოწყობილობა. ამ უკანასკნელმა, ი.მ-სთან ერთად, ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადებისათვის მიმართა ნ.ბ-ს, რომელმაც მოწყობილობა გ.თ.-ს დაამზადებინა.

ამის შემდეგ, რ.ბ-მ საბოლოოდ ასაფეთქებელი მოწყობილობა თბილისში ჩამოიტანა და ბ.ც-ს გადასცა, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული მოწყობილობა უკრაინის მოქალაქეს მიუტანა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ, შეკვეთით, განზრახ მკვლელობის მომზადების და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, დამზადებისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-109 მუხლით, რაც სასჯელის სახით 16-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ან უვადო პატიმრობას გულისხმობს და 236-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს), ნათქვამია – სუს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრი.

❖ ❖ ❖

ძმებმა გიორგი და დავით ფეიქრიშვილებმა თავიანთი მკვლელობის მომზადების საქმეზე ინტერპრესნიუსთან პირველი კომენტარი გააკეთეს.

როგორც დავით ფეიქრიშვილმა განაცხადა, დაკავებული 7 პირიდან არავის იცნობენ, მკვლელობის მომზადების ფაქტს კი ვერაფერს უკავშირებენ.

ფეიქრიშვილის განმარტებით, მათი მკვლელობის მომზადების შესახებ 29 იანვარს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გაიგეს და ოპერაციის შესახებ ინფორმაცია მანამდე არ ჰქონიათ.

– დაკავებულებიდან არც ერთს არ ვიცნობთ, მათ შესახებ გუშინ გავიგეთ. კონტრტერორისტული დეპარტამენტიდან დამიკავშირდნენ, სადაც ძმასთან და ადვოკატთან ერთად მივედი.

მითხრეს, რომ ჩემი და ჩემი ძმის მკვლელობა მზადდებოდა შეკვეთით. ასევე მითხრეს, რომ დაკავებული იყვნენ კონკრეტული პიროვნებები, რომელთაც არ ვიცნობთ. აქედან გამომდინარე ამ ფაქტს ვერაფერს ვუკავშირებ, – განაცხადა დავით ფეიქრიშვილმა.

❖ ❖ ❖

კონტრტერორისტული ცენტრის უფროს ირაკლი ჩიმაკაძის თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ძმები ფეიქრიშვილების მკვლელობის მცდელობის საქმეზე უკრაინაშიც მოხდეს ვინმეს დაკავება.

როგორც ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ ეთერში გადაცემა „დღის თემაში“ ჩიმაკაძემ განაცხადა, მოტივი, თუ რის საფუძველზე შეუკვეთეს ძმების მკვლელობა, ჯერჯერობით უცნობია.

– ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია მოტივებზე და ა.შ. თუ ვისგან მოდის დაკვეთა და რის საფუძველზე, რა მოტივით ცდილობდა, ვთქვათ, შურისძიებას. ინტენსიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით.

არ გამოვრიცხავ, რომ უკრაინაშიც მოუწიოთ დაკავება, ამ ეტაპზე ჩვენ საქართველოში საქმესთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირი დაკავებული გვყავს. ვაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ დამატებით გამოვავლინოთ პირები, რომლებიც, შესაძლოა, დაკავშირებული ყოფილიყვნენ ამ სისხლის სამართლის საქმესთან, – განაცხადა ჩიმაკაძემ.

შესაძლებელია, რომ ფეიქრიშვილების მკვლელობის მცდელობა 2016 წელს ვაკეში მოკლული სოსო ჯოხაძის საქმეს უკავშირდებოდეს?



ჩიმაკაძემ ამ კითხვას ასე უპასუხა:

– ვერაფერს გეტყვით, იმიტომ, რომ გამოძიება ძალიან ბევრ ვერსიაზე მუშაობს, არაფერს გამოვრიცხავთ, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული პასუხის გაცემა არ შეგვიძლია.

❖ ❖ ❖

გიორგი ფეიქრიშვილი 2016 წელს იარაღის უკანონოდ ფლობის გამო იყო დაკავებული. მისი დაკავება ვაკეში, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის, გია ჯოხაძის ძმის, სოსო ჯოხაძის მკვლელობას დაემთხვა.

გიორგი ფეიქრიშვილმა დაკავების შემდეგ განაცხადა, რომ ჯოხაძის მკვლელობის შემდეგ მის სახლთან მუდმივად იდგნენ პოლიციის მანქანები, თუმცა, მკვლელობასთან კავშირს ის კატეგორიულად უარყოფდა.

ამბების ინფორმაციით, ტყუპი ძმა და ჯოხაძის მკვლელობაში ბრალდებული ბადრი (ბადუკა) ნათობაძე ახლო მეგობრები იყვნენ და ფეიქრიშვილებსა და ჯოხაძეებს დაპირისპირებაც ჰქონდათ.

დავით ფეიქრიშვილის სახელი ფიგურირებს ე.წ. მაზავშიკების საქმეში, როდესაც დავით გაგნიძე, გიორგი დემეტრაძე და კახა მისირელი დააკავეს.

❖ ❖ ❖

გუშინ კომენტარი ძმები ფეიქრიშვილების ადვოკატმა გიორგი ანთაძემაც გააკეთა.

– ამ ეტაპზე შემსრულებლები არიან დაკავებული. შემკვეთის დადგენის შემდეგ უფრო ლოგიკური იქნება ჩვენგან იმის თქმა, რის გამო და რატომ შეიძლება მომხდარიყო ფეიქრიშვილების მკვლელობის დაგეგმვა, – უთხრა მან ინტერპრესნიუსს.

ადვოკატის თქმით, ძმების მკვლელობის მომზადების შესახებ 29 იანვარს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გაიგეს.

ფეიქრიშვილები მათი მკვლელობის მომზადების ფაქტს ვერაფერს უკავშირებენ. თუმცა, ადვოკატი დასძენს, რომ გარკვეული პერიოდის წინ, გიორგი ფეიქრიშვილის ავტომობილი დაწვეს, რასთან დაკავშირებითაც ერთი პირი დაკავებულია.

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გუშინ ვიყავით, საქმის მასალებს გავეცანით და დაკავებული პირებიდან არცერთს ძმები არ იცნობენ. ბათუმში რომ დააკავეს, ისინი ასაკითაც საკმაოდ უფროსები არიან. გუშინ დაგვიკავშირდნენ კონტრტერორისტული დეპარტამენტიდან, მივედით და შესაბამის სამსახურში გაგვაცნეს აღნიშნული ფაქტი. საგამოძიებო მოქმედებები გაგრძელდება და გამოიძიებენ, ვინ არის შემკვეთი და ამის მერე ყველაფერი ნათელი გახდება, – განაცხადა ანთაძემ.

ადვოკატი უარყოფს ინფორმაციას, რომ ბოლო პერიოდში ძმები დაცვის თანხლებით გადაადგილდებოდნენ, ვინაიდან საფრთხეს გრძნობდნენ.

– არანაირ საფრთხეს არ ელოდებოდნენ. გარკვეული პერიოდის წინ, გიორგი ფეიქრიშვილის მანქანა დაწვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაკავებულია პირი, თუმცა, ამ ფაქტის დაკავშირება რთულია. თუმცა, ამის ალბათობა არის.

ძმები არც ამ პიროვნებას იცნობენ. მოლოდინი რომ ჰქონოდათ, მათი მკვლელობა იგეგმებოდა, არც გადაადგილდებოდნენ და უსაფრთხოების უფრო მეტ ზომას მიმართავდნენ, – აღნიშნა ადვოკატმა.

ხომ არ უკავშირდება ეს ფაქტი წარსულში რომელიმე საქმეს, სადაც დავით ფეიქრიშვილი ფიგურირებს, თუნდაც, ე.წ. მაზავშიკების საქმეს, რომელშიც ასევე უკრაინა ფიგურირებდა?

ადვოკატის თქმით, ეს 2 ფაქტი ერთმანეთთან კავშირში არ არის.

– გიორგი ფეიქრიშვილი იმ ფაქტთან დაკავშირებით ნასამართლევი არ არის და არც დაკავებული. დაკავებული იყო დავით ფეიქრიშვილი, თუმცა, ბრალდება აბსურდული იყო და დღესაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გვაქვს აღნიშნული საქმე გასაჩივრებული.

ეს იმდენად აბსურდული თემა იყო, ამ ფაქტს იმას ნამდვილად ვერ დავუკავშირებთ, – დასძინა ადვოკატმა ანთაძემ.

# თბილისში 16 წლის გოგონას საკუთარი და და ტაქსის მძღოლი სექსმუშაკად მუშაობას აიძულებდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თბილისში არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ბრალდებით 1996 წელს დაბადებული მ.ფ., 1973 წელს დაბადებული მ.გ. და 1970 წელს დაბადებული ვ.კ. დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები 2004 წელს დაბადებულ არასრულწლოვანს, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სისტემატურად უწევდნენ ექსპლუატაციას და ე.წ. კლიენტებისთვის სექსუალურ მომსახურებას აიძულებდნენ.



სამივე ბრალდებული – დაზარალებული არასრულწლოვნის და, ე.წ. სუტინიორი და ტრეფიკინგში ჩართული ტაქსის მძღოლი პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.

არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგებით ჩადენილ ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა-2 მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# ნეთანიაჰუმ ტრამპის სამშვიდობო გეგმა პუტინთან განიხილა



ისრაელის პრემიერ-მინისტრმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს დონალდ ტრამპის ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმა პირადად გააცნო. ქვეყნის ლიდერი ვაშინგტონიდან პირდაპირ მოსკოვში გაემგზავრა.

ტრამპის ინიციატივა ითვალისწინებს პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, რომლის დედაქალაქი აღმოსავლეთ იერუსალიმში მდებარე აბუ-დისი იქნება, სადაც აშშ თავის საელჩოს გახსნის.

ამასთან, გეგმა იერუსალიმს ისრაელის განუყოფელ დედაქალაქად აღიარებს და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების სუვერენიტეტს უჭერს მხარს.

– თქვენ პირველი ლიდერი ხართ, რომელსაც ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ ტრამპის საუკუნის გარიგებას ვაცნობ. ჩემი აზრით ეს ახალი შესაძლებლობაა, შესაძლოა, უნიკალური შესაძლებლობა და მე მსურს, ის თქვენთან ერთად განვიხილო და თქვენი შეფასებები მოვისმინო, – განუცხადა ნეთანიაჰუმ პუტინს.

# სენატმა, შესაძლოა, ტრამპი უკვე ამ პარასკევს გაამართლოს

აშშ-ის სენატში ტრამპის იმპიჩმენტთან დაკავშირებით მოსმენები გრძელდება. დაიწყო ახალი ეტაპი, როცა როგორც ბრალმდებლებს, ასევე ტრამპის ადვოკატებს შეკითხვები უნდა დაუსვან.

სენატორი დემოკრატები რიგი მოწმეების, მათ შორის ტრამპის ექსმრჩევლის ჯონ ბოლტონის დაკითხვას მოითხოვენ.

სენატის რესპუბლიკელთა უმრავლესობის ლიდერმა მაკონელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ დემოკრატების ინიციატივის დასაბლოკად ხმები არ ჰყოფნით. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელები საჭირო ხმებს მაინც მოაგროვებენ და მოწმეების გამოძახებას დაბლოკავენ. თუ ეს მოხერხდა, ტრამპის გამართლებას უკვე არაფერი დაუდგება წინ.



სენატმა, შესაძლოა, ტრამპი უკვე ამ პარასკევს გაამართლოს.



# ევროპარლამენტმა ბრექსიტის რატიფიცირება მოახდინა

ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან (ბრექსიტი). ამ გადაწყვეტილებას 621-მა დეპუტატმა მისცა ხმა. 49 წინააღმდეგი წავიდა, 13-მა თავი შეიკავა.

ხანგრძლივ დავას ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე წერტილი დაესვა.

ევროკომისიის ახალმა თავმჯდომარემ ბრიტანეთს წარმატებები უსურვა.

– დარწმუნებული ვართ, რომ ევროკავშირი და ბრიტანეთი კვლავაც პარტნიორებად დარჩებიან, – თქვა მან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ლატარიის გამარჯვებულმა ინგლისურის არცოდნის გამო მილიონები დაკარგა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ნიუ-ბედფორდის მცხოვრები ინგლისური ენის არცოდნის გამო მრავალმილიონიანი მოგების გარეშე დარჩა.

ჟოაო ლუის დაპონტემ სარჩელი შეიტანა თავის ნაცნობების მარია ოლივეირასა და სიუზან გასპარის წინააღმდეგ, რომლებმაც, მისი მტკიცებით, მის მიერ ლატარიაში მოგებული ფული მიითვისეს.

სასარჩელო განცხადების თანახმად, დაპონტემ ლატარიაში ოთხი მილიონი დოლარი მოიგო. მისი მშობლიური ენა პორტუგალიურია, რომელშიც მილ „ათასს" ნიშნავს. ლატარიის ბილეთზე წარწერა 4მილის დანახვისას მან იფიქრა, რომ საუბარი ოთხი ათას დოლარზე იყო.

მამაკაცი ამტკიცებს, რომ მან ლატარიის ბილეთი ოლივეირას მისცა და სთხოვა, მოგებული თანხა მის მაგივრად აეღო, ამისთვის კი 200 დოლარს შეჰპირდა. დაპონტეს თქმით, მისმა ნაცნობმა ლატარიის ორგანიზატორებს მიმართა და გადასახადების გამოკლების შემდეგ 2,6 მილიონი დოლარი მიიღო, მას მხოლოდ 3,8 ათასი დოლარი გადასცა, დანარჩენი თანხა კი თავისთვის დაიტოვა.

დაპონტემ მოტყუების თაობაზე მეგობართან საუბრის შემდეგ



შეიტყო, რომელიც სამივეს იცნობდა. ოლივეირა ყველაფერს უარყოფს. მისი თქმით, ლატარიის მოგება სხვის მაგივრად არასოდეს მიუღია.

# მამაკაცმა უდანაშაულოდ ციხეში სამი დღის გატარებისთვის სოლიდური კომპენსაცია მიიღო



შოტლანდიაში უდანაშაულო მამაკაცმა შეცდომით სამი ღამე ციხეში გაატარა და ამის სანაცვლოდ სოლიდური კომპენსაცია მიიღო.

2015 წელს პოლიცია გარი უების სახლში შეიჭრა და დანაშაულის ჩადენა დასდო ბრალად. უები დანაშაულს უარყოფდა და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შეცდომა იყო დაშვებული.

– ჩემი არავის სჯეროდა, ვიფიქრე, რომ ჭკუიდან შევიშლებოდი, – იხსენებს მამაკაცი, – ხელბორკილები დამადეს და ყველაზე საშინელი ბრალდება წამიყენეს.

უებმა ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა და კიდევ სამი ღამე სხვისი დანაშაულის გამო – ციხის საკანში. მალე პოლიციელებმა გამოარკვიეს, რომ მათ მართლაც სულ სხვა ადამიანი დააპატიმრეს. უები გაათავისუფლეს. ის ამტკიცებს, რომ მას არავინ განუმარტა, თუ რა მოხდა და არც მომხდარის გამო მოუბოდიშებიათ. შოტლანდიელის თქმით, მას აღნიშნულმა ინციდენტმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა და იძულებული გახდა, სამსახურიდან გათავისუფლებულიყო.

გარი უებმა უკანონოდ დაპატიმრებისთვის სარჩელი შეიტანა, თუმცა ორწლიანი განხილვის შემდეგ მისი განცხადება არ დააკმაყოფილეს. ამის შემდეგ უებმა შოტლანდიის პოლიციის მიერ არამართლზომიერი ქმედებების გამოსაძიებელ კომისიას მიმართა. ხუთი პოლიციელი, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ აღნიშნულ ინციდენტთან, დააპატიმრეს, თუმცა ორწლიანი გამოძიების შემდეგ არც ერთი მათგანი პასუხისგებაში არ მიუციათ.

საბოლოოდ 60 წლის უებმა ინციდენტისთვის მორალური კომპენსაციის სახით 100 ათასი ფუნტი სტერლინგი მიიღო.

# ინდოეთის სოფელში შეჭრილმა ვეფხვმა ადამიანები დაასახიჩრა

ინდოეთის მახარაშტრას შტატში ვეფხვი სოფელში შეიჭრა და რამდენიმე ადამიანი დაასახიჩრა. თვითმხილველის მიერ ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

მტაცებელი ცხოველი დასახლებაში ადგილობრივი დროით დაახლოებით 13:00 საათზე შენიშნეს. იქვე გვერდით ხალხმა მოიყარა, თავი, რომელიც ვეფხვის განდევნას შეეცადა. ცხოველი საპასუხოდ ადამიანებს თავს დაესხა და მინიმუმ სამი ადამიანის დაშავება მოასწრო, რის შემდეგაც გაიქცა.

დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. შემთხვევის ადგილზე მისული სატყეო მეურნეობის თანამშრომლები ცხოველის დაჭერას შეეცადნენ, მაგრამ ვეფხვმა მათგან თავის დაღწევა მოახერხა. ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ თავდასხმამდე ცხოველი რვა დღის განმავლობაში დაძრწოდა სოფლის შემოგარენში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# ქალი თეთრეულის გაფენის დროს მაიმუნის თავდასხმას შეეწირა

ინდოეთის ოდისას შტატის ჯაჯპურის ოლქში მაიმუნი თავს დაესხა ქალს, რომელიც ამის შედეგად დაიღუპა.

45 წლის ჯაიანტი სვეინი გარეცხილ თეთრეულს საკუთარი სახლის სახურავზე ფენდა, როდესაც მას მოულოდნელად თავს მაიმუნი დაესხა. დიასახლისს შეეშინდა, გაქცევა ცადა, მაგრამ ფეხი დაუცდა და სახურავიდან გადმოვარდა. ყვირილზე ქალის ნათესავებმა მოირბინეს და ის სახლის წინ, მიწაზე დაცემული ნახეს.

დაშავებული ქალი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მაიმუნები მოსახლეობის მიმართ მეტად აგრესიულები გახდნენ, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება არ იღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა ცხოველების ადამიანებზე თავდასხმა აღკვეთონ.


## მალამო „მენტორი პირველი"

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.** ☎ **599-73-48-21; 598-73-48-21.**



# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ძალოსნები მედლებსა და სალიცენზიო ქულებს აგროვებენ



ანტონ პლესნოიმ რომში ძალოსნობის მსოფლიო თასზე ჩინებულად იასპარეზა – ქართველმა სპორტსმენმა ოლიმპიადის სალიცენზიო ქულები და 3 ოქრო მოიპოვა.

96-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, მან ატაცში მაქსიმალური შედეგი, 176 კილოგრამი დააფიქსირა, ხოლო აკვრაში პლესნოის მაქსიმუმი 210 კილოგრამი იყო. ქართველმა ძალოსანმა ორჭიდის ჯამში 386 ქულა დააგროვა და საერთო ჩათვლაშიც ოქროს მედალს დაეუფლა.

გოგა ჩხეიძე ბრინჯაოს 2 მედალს დაეუფლა. 67 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, მან ატაცში მაქსიმალური შედეგი, 133 კილოგრამი დააფიქსირა, ხოლო აკვრაში ჩხეიძის მაქსიმუმი 158 კილოგრამი იყო, რაც ბრინჯაოს მედლისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

ქართველმა ძალოსანმა ორჭიდის ჯამში 291 ქულა დააგროვა, რაც საერთო ჩათვლაში ბრინჯაოს მედალს ეყო.

საქართველოს ღირსებას რომში მიმდინარე მსოფლიო თასზე კიდევ ერთი ძალოსანი დაიცავს – ფიცარნაგზე ლაშა ტალახაძე გავა. საქართველოს ნაკრებს უკვე 8 მედალი დაუგროვდა: 3 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

# ბითაძემ დრო გამოიყენა



გიგა ბითაძის ინდიანამ ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი მატჩი ჩიკაგოსთან გამართა და მეტოქე დამატებით დროში 115:106 დაამარცხა.

ქართველმა ცენტრმა პარკეტზე 15 წუთი გაატარა, რომლის დროსაც 10 ქულა, 4 მოხსნა და 1 დაფარება გაიფორმა. გოგამ 5 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამიანი გააფუჭა, ბურთი 3-ჯერ დაკარგა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

ჩიკაგოს დამარცხების შემდეგ პეისერსს 31 მოგება და 17 წაგება აქვს. მაკმილანის შეგირდები დივიზიონის საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად იბრძვიან და წარმატებული სვლის გაგრძელების კარგი შანსი აქვთ. ინდიანა მომდევნო შეხვედრას საკუთარ კედლებში, აღმოსავლეთ კონფერენციის აუტსაიდერ ნიუ იორკ ნიქსის წინააღმდეგ გამართავს.

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურში გიორგი შერმადინის იბეროსტარ ტენერიფემ რიგის ვეფ-ს უმასპინძლა და 92:59 მოუგო.

ტენერიფე ჯგუფიდან ვადაზე ადრე გავიდა, ამიტომაც გიორგიმ სათადარიგოთა სკამზე დაიწყო და მოედანზეც სულ 8 წუთი დაჰყო. ამიტომაც მის ანგარიშზე მხოლოდ 7 ქულა და 1 მოხსნაა. გიორგის ბოლო 2 მეთხედში საერთოდ არ უთამაშია.

ტენერიფე 11-2 ბალანსით ლიდერობს და ბოლო ტურში ბამბერგს ესტუმრება. 11 მოგება აქვს მაიკლ დიქსონის ნიმბურკსაც, რომელმაც სტუმრად 98:66 მოუგო მორნარ ბარს. დიქსონს არ უთამაშია.

# შედეგები

**29 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ოლიმპიადა 2020. შესარჩევი ეტაპი**

**სამხრეთ ამერიკა**

პერუ-ურუგვაი ........ 0:1

ბრაზილია-ბოლივია ........ 5:3

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ლივერპული ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 24 | 23 | 1 | 0 | 56-15 | 70 |
| 2.სიტი | 24 | 16 | 3 | 5 | 65-27 | 51 |
| 3.ლესტერი | 24 | 15 | 3 | 6 | 52-24 | 48 |
| 4.ჩელსი | 24 | 12 | 4 | 8 | 41-32 | 40 |
| 5.მანჩესტერი | 24 | 9 | 7 | 8 | 36-29 | 34 |
| 6.ტოტენჰემი | 24 | 9 | 7 | 8 | 38-32 | 34 |
| 7.ვულვზი | 24 | 8 | 10 | 6 | 35-32 | 34 |
| 8.შეფილდი | 24 | 8 | 9 | 7 | 25-23 | 33 |
| 9.საუთჰემპტონი | 24 | 9 | 4 | 11 | 31-42 | 31 |
| 10.არსენალი | 24 | 6 | 12 | 6 | 32-34 | 30 |
| 11.კრ.პალასი | 24 | 7 | 9 | 8 | 22-28 | 30 |
| 12.ევერტონი | 24 | 8 | 6 | 10 | 28-35 | 30 |
| 13.ნიუკასლი | 24 | 8 | 6 | 10 | 22-36 | 30 |
| 14.ბარნლი | 24 | 9 | 3 | 12 | 28-38 | 30 |
| 15.ბრაიტონი | 24 | 6 | 7 | 11 | 27-34 | 25 |
| 16.ასტონ ვილა | 24 | 7 | 4 | 13 | 31-45 | 25 |
| 17.ვესტ ჰემი | 24 | 6 | 5 | 13 | 27-40 | 23 |
| 18.ბორნმუთი | 24 | 6 | 5 | 13 | 23-37 | 23 |
| 19.უოტფორდი | 24 | 5 | 8 | 11 | 21-36 | 23 |
| 20.ნორვიჩი | 24 | 4 | 5 | 15 | 24-47 | 17 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

სიტი-მანჩესტერი ........ 0:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-ჰაიდენჰაიმი ........ 3:0

დინამო-კარლსრუე ........ 1:0

ოსნაბრიუკი-ზანდჰაუზენი ........ 1:3

კილი-დარმშტადი ........ 1:1

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ლეონესა-ვალენსია ........ 0:0(2:4პ)

რაიო-ვილიარეალი ........ 0:2

ბადახოსი-გრანადა ........ 2:3(დდ)

სოსიედადი-ოსასუნა ........ 3:1

სარაგოსა-რეალი ........ 0:4

**იტალია. თასი**

ინტერი-ფიორენტინა ........ 2:1

**საფრანგეთი. თასი**

პო-პსჟ ........ 0:2

ეპინალი-ლილი ........ 2:1

მარსელი-სტრასბური ........ 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-ბრაგა ........ 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-როსი ........ 2:0

სტ.ჯონსონი-სელტიკი ........ 0:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-ბრიუგე ........ 0:0

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

ფედერერი-ჯოკოვიჩი ........ 6:7,4:6,3:6

**ქალები**

ბარტი-კენინი ........ 6:7,5:7

ჰალეპი-მუგურუზა ........ 6:7,5:7

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# საქართველომ გერმანია დაამარცხა



საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ფ ჯგუფში გამოსვლა გამარჯვებით დაიწყო. ავთანდილ ასათიანის შეგირდებმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გერმანიის ნაკრებს ანგარიშით 3:1 სძლიეს.

ჩვენებმა თამაში კარგად დაიწყეს, მაგრამ საქმე მაინც სანერვიულოდ გაიხადეს. მეტოქის კართან სახიფათო მომენტები მრავლად შეიქმნა, მაგრამ მე-5 წუთისთვის ანგარიში მაინც გერმანელებმა გახსნეს – ზვიად კუპატაძეს მანუელ ფიშერმა გაუტანა.

გათანაბრება არჩილ სებისკვერაძემ მე-11 წუთისთვის, მას შემდეგ მოახერხა, რაც საჯარიმოს შემდეგ გამოვარდნილ ბურთს შორი მანძილიდან ზუსტად დაამატა.

საქართველოს ნაკრებმა ანგარიშში წინ გასვლა მეორე ტაიმში, კუთხურის გათამაშების შემდეგ მოახერხა. რონინიოს ორიგინალური პასის შემდეგ, თალესმა შორი მანძილიდან ერთი შეხებით, ეფექტური გოლი გაიტანა – 2:1.

აქედან 2 წუთში მასპინძლების უპირატესობა კიდევ უფრო ვახტანგ ჯვარაშვილმა გაზარდა, რომელმაც საიოტის დარტყმის შემდეგ მეკარისგან მოგერიებულ ბურთს დაამატა – 3:1.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა. აღსანიშნავია საქართველოს ნაკრების მეკარისა და კაპიტნის, ზვიად კუპატაძის საიმედო თამაში.

ჩვენივე ჯგუფში კოსოვომ ავსტრიას ანგარიშით 4:2 მოუგო და ჯგუფის ლიდერია. ასათიანის გუნდი მომდევნო შეხვედრას ავსტრიის ნაკრებთან ჩაატარებს, კოსოვო კი გერმანიას დაუპირისპირდება. ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის.

# ნათია თოდუას კონცერტებზე ბილეთები სრულად გაიყიდა



31 იანვარსა და 1 თებერვალს ქართველი მომღერლის ნათია თოდუას კონცერტები გერმანიაში გაიმართება.

გერმანული ვოისის გამარჯვებული მომღერლის კონცერტებზე დასასწრები ბილეთები სრულად არის გაყიდული.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნათიას კონცერტზე ბილეთის შოვნა რამდენიმე დღით ადრე შეუძლებელია. ქართველ მომღერალს გერმანიაში ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდებიან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# 18 წლის კაია გერბერმა საკუთარ ფეხმძიმობაზე მიანიშნა




სინდი კროუფორდის 18 წლის ქალიშვილმა კაია გერბერმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც საკუთარ გამობერილ მუცელს აჩვენებს. სურათი ინსტაგრამში ამერიკელი სუპერმოდელის გვერდზე გამოქვეყნდა.

ფოტოსურათზე გერბერი კამერის მიმართ გვერდულად დგას, აცვია თეთრი ტოპი, კარდიგანე, ერთ ხელში უჭირავს ნაყინის კოლოფი, მეორეში კი წიგნი სათაურით „როგორ გავხდეთ დედა ერთ წუთში“.

– ამოიცანი აქ დაფარული აზრი, – დაწერა ფოტოსურათის კომენტარში მოდელმა, რომელიც 2019 წლის სექტემბერში გახდა 18 წლის.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ემილი რატაკოვსკიმ გამჭვირვალე თეთრეულის რეკლამაში მიიღო მონაწილეობა




ამერიკელმა მოდელმა და მსახიობმა ემილი რატაკოვსკიმ მონაწილეობა მიიღო საცვლების საკუთარი ბრენდის „ინამორატა ვუმენის“ რეკლამაში. მისი ფოტოსურათები ინსტაგრამში მის გვერდზე გამოქვეყნდა.

ერთ-ერთ ფოტოზე 28 წლის მოდელი სახით კამერისკენ პოზირებს, რა დროსაც შავ გამჭვირვალე ბოდსა და იდაყვებამდე ჩამოცურებულ თეთრ პერანგშია გამოწყობილი. სხვა ფოტოებზე კი ის ზურგის მხრიდანაა აღბეჭდილი განცალკევებულ საცვლებსა და ლევისის ჩაწეულ ჯინსებში. ფოტოების თავზე მარკის ლოგოტიპია გამოსახული.

ამგვარად რატაკოვსკიმ თეთრეულის ახალი ხაზის გამოშვება დააანონსა. გამოქვეყნებულმა ფოტოებმა ერთ საათში თითქმის 300 ათასი მოწონება მიიღო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ტაივანის დედაქალაქი; 2. ტროპიკული ხილი; 3. სუსტი არაყი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 6. ხის ზედა განტოტილი ნაწილი; 7. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 11. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 13. გემთმშენებლობის ცენტრი პოლონეთში; 14. დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ხელშეკრულება; 15. ქართული ლუდი; 16. სამკურნალო დაწესებულება; 17. ებრაელთა სასულიერო პირი; 19. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების იტალიელ ოსტატთა საგვარეულო; 20. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

**თარაზულად**: 1. ზეთის ხსნარში წებოთი და კვერცხის გულით შეზავებული სახატავი საღებავი; 4. ლუთერანული ეკლესია; 8. ბარაქა, სიუხვე; 9. რძის პროდუქტი; 10. დენის მიმღები საკონტაქტო მოწყობილობა ელმავალზე, ტრამვაისა და ტროლეიბუსზე; 12. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 14. ფულის ერთეული არგენტინაში; 15. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ერთგვარი ნამცხვარი; 18. აფრიკული ცხოველი; 21. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 22. კონიაკშერეული თეთრი ღვინისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი, რომელშიც ახალი ხილია ჩათლილი; 23. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაზიერი; 2. სალივანი; 3. დვალეთი; 5. გეორგიკა; 7. ფინდელი; 9. სამტრედია; 19. სისტოლა; 15. არწივი; 16. მაღარო; 18. ომალო.

**თარაზულად:** 4. ჰალოგენი; 6. კრასნოვი; 8. მიტროპოლიტი; 10. პოდესტა; 11. მითი; 12. ალგეთი; 14. მარკა; 17. პენსი; 19. ეწერი; 20. ბაქტერია; 21. არგო; 22. ლიმნოლოგი; 23. სორბონა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტრაკაი; 2. ალალი; 3. ლისი; 5. კეხანა; 6. შტატი; 7. მინევრა; 11. კლიჩკო; 13. არიფანა; 14. დინგო; 15. ბუშლატი; 16. კურსები; 17. ვეტელი; 19. ალიბი; 20. მესა.

**თარაზულად:** 1. ტრამალი; 4. მასკი; 8. სეიკო; 9. ხადა; 10. კულაკი; 12. კეტჩერი; 14. დაჩი; 16. კონგო; 18. მალტა; 21. ტოკაი; 22. ბობსლეი; 23. ბალზაკი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8934

ევრო — 3.1868

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7660

100 რუსული რუბლი — 4.6321

## ამინდის პროგნოზი 31 იანვრისთვის







28 იანვრიდან
ბიბლიური იგავები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## ეკა ჩხეიძე ჟურნალისტებს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს



მსახიობი ეკა ჩხეიძე ჟურნალისტებს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს:

– ჟურნალისტებო, დეზინფორმაციას ავრცელებთ! „თავისუფლების აღკვეთისთვის“ არავინ გამიმეტებია. ეს გარკვევით ვთქვი თავიდანვე გამომძიებელთან!

მას მიესაჯა პირობითი!

რაც იმას ნიშნავს, რომ 2 წლის მანძილზე ველარ მომიახლოვდება – სადარბაზოში სროლას, მუქარას და მსგავს სიგიჟეებს ველარ ატეხავს.

ისე, ამ საქციელების ჩამდენს თქვენს ადგილას „თაყვანისმცემელს“ არ დავარქმევდი.

თაყვანისმცემლებს არაფერს ვერჩი, პირიქით, მადლობელი ვარ სიყვარულისთვის.

## „12 განრისხებულ მამაკაცში“ ბესო ზანგურმა ვანო გოგიტიძე შეცვალა

რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „12 განრისხებული მამაკაცი“ ვანო გოგიტიძის გარდაცვალების შემდეგ რეჟისორმა რობერტ სტურუამ ბესო ზანგური შეიყვანა.



სპექტაკლი პირველ თებერვალს თეატრის დიდ სცენაზე იქნება წარმოდგენილი. დეტექტიური ჟანრის წარმოდგენაში მხოლოდ მამაკაცი მსახიობები მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, ლევან ბერიკაშვილი, ირაკლი მაჭარაშვილი, ბესიკ ზანგური, ტრისტან სარალიძე, მურმან ჯინორია, დავით კვირცხალია, ზურა ინგოროყვა, ლევან ხურცია და თემურ ჭიჭინაძე.

## დათო არჩვაძემ მატარებელში ცუდად მყოფ უცნობ გოგონას უმღერა

მომღერალმა დათო არჩვაძემ მატარებელში შეუძლოდ გამხდარ სრულიად უცნობ გოგონას უმღერა და მდგომარეობიდან გამოიყვანა:

ამბავს ეთო ბოკელავაძე პირადად შეესწრო:

– ბათუმისკენ მიმავალი მატარებლის მეზობელ ვაგონებში აღმოვჩნდით მე და ჩემი კოლეგა და დათო არჩვაძე, თავის გუნდთან ერთად.

მოულოდნელად ჩვენს ვაგონში ერთი ახალგაზრდა გოგონა გახდა შეუძლოდ, დიაბეტი ჰქონია.

ვაგონში მყოფმა ექიმმა სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა, თუმცა გოგონა ძალიან შეშინებული იყო და წუხდა. ეს ყველაფერი დათოს ყურამდე მისულა. სასწრაფოდ შემოვიდა ჩვენთან და გოგონა მოიკითხა, ცოტა ხანში კი უკან გაბრუნდა და ბიჭებს გასძახა, გიტარა წამოიღეთო.

ასე რამდენიმე სიმღერა მიუძღვნეს გოგონას, გაამხნევეს, გაამხიარულეს, ხასიათზე მოიყვანეს.



მოულოდნელმა სიურპრიზმა გოგონა ისე გააოცა და გაახარა, აღარ იცოდა, ეტირა თუ ეცინა.

ბოლოს უთხრა: ღირდა ჩემი ცუდად გახდომაო.

ასეა, ადამიანი ადამიანისთვის მზეა.

დათო კი – მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ იმ დღიდან ვთვლი, რომ ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ადამიანია!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

მიცვალებულს დაკრძალვისთვის ამზადებენ. ცოლი ნათესავს ეუბნება:

– ჰალსტუხი არ უყვარდა საწყალს, არ გაუკეთოთ.

– რას ამბობ, თორე კუბოში წოლაზე ხომ ჭკუა ეკეტებოდა.

●●●

რესტორანში მამაკაცი ორ დაქალთან მივიდა და ერთ-ერთს ეკითხება:

– ცეკვა გინდათ?

– დიახ, სიამოვნებით.

– კარგით, მიდით, იცეკვეთ, მე კი მინდა, თქვენს დაქალს დაველაპარაკო.

●●●

ქმარმა გადაწყვიტა, ცოლის მშობიარობას დასწრებოდა. შევიდა სამშობიაროში და იქაურობის დათვალიერებისთანავე გული წაუვიდა. მოასულიერეს. ცოლმა მშობიარობა დაიწყო, ქმარს ისევ გული წაუვიდა. მოასულიერეს. მშობიარობის დასრულებამდე კიდევ ორჯერ დაკარგა გონება. ბოლოს, როდესაც გონს მოვიდა, ექიმი ეუბნება:

– გილოცავთ, მამა გახდით!

– ვინ დაიბადა?

– გოგონა!

– მადლობა ღმერთს, ჩემსავით არ დაიტანჯება მაინც!

●●●

მთვრალი გუბეში ზის. გამოიარა პატრულმა და ეკითხება:

– აქ რას აკეთებ?

– შენ ვინ ხარ?

– პატრული.

– საზღვაო თუ სახმელეთო?

– სახმელეთო.

– მერე, საზღვაო საქმეში რას ერევი?!

## კობი ბრაიანტის მიერ მოფიქრებული ბოტასის ფასმა რეკორდულად აიწია



ბოტასის ფასმა, რომელიც ავიაკატასტროფაში დაღუპულმა ლეგენდარულმა კალათბურთელმა კობი ბრაიანტმა სპორტულ ბრენდ ნაიკთან ერთად მოიფიქრა და შექმნა, რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.

ნაიკის ბოტასის მოდელი Kobe 4 Protro Undefeated Phoenix Suns ნივთებით ვაჭრობის აუქციონის Stock X-ს გვერდზე გამოიტანეს. 29 იანვრისთვის მისმა ფასმა 982 ათასი დოლარი შეადგინა. ბოტასის თავდაპირველი ღირებულება ნაიკის მაღაზიებში 180 დოლარს შეადგენდა.

სპორტული ფეხსაცმლის კიდევ ერთი ვერსია Kobe 4 Protro Carpe Deam იმავე პლატფორმაზე 430 ათას დოლარად იყიდება. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ნაიკი შეაჩერებდა კობი ბრაიანტის მონაწილეობით შექმნილი ნაწარმის გაყიდვებს, რათა გადამყიდველების საქმიანობა აღეკვეთათ. თუმცა გაირკვა, რომ ჰობე-ს ხაზის ყველა ნაწარმი მისი გარდაცვალებიდან ორ დღეში გაიყიდა. ამჟამად კი ვებგვერდზე ბოტასების ნაცვლად მხოლოდ კალათბურთელის ოჯახისა და მეგობრების მიმართ მისამძიმრების სიტყვებს შეხვდებით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჯოკოვიჩი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა



სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა. ნახევარფინალში მან როჯერ ფედერერი დაამარცხა ანგარიშით 7:6, 6:4, 6:3. ჯოკოვიჩი პირველ სეტში 2:5 აგებდა, მაგრამ მან შეძლო სეტის შემოტრიალება და საბოლოოდ შეხვედრა დამაჯერებელ გამარჯვებამდე მიიყვანა.

ნოვაკი ფინალში ზვერევისა და დომინიკ ტიმის წყვილის გამარჯვებულს შეხვდება. ეს შეხვედრა პარასკევს გაიმართება. თუ ჯოკოვიჩმა ტურნირის მოგება შეძლო, მაშინ ის ისევ პირველი ჩოგანი გახდება და რაფაელ ნადალი მეორე პოზიციაზე გადაინაცვლებს.

## ბრუნო ფერნანდეში: „მანჩესტერ იუნაიტედში თამაში დიდი პატივია“

მანჩესტერ იუნაიტედის ახალწვეულმა ბრუნო ფერნანდეშმა განაცხადა, რომ ამ გუნდში თამაში მისთვის დიდი პატივია და ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მანჩესტერს წარმატება მოუტანოს:

– ჩემამდე მანჩესტერ იუნაიტედში ყველა პორტუგალიელი წარმატებას აღწევდა, თუნდაც რონალდუ და ნანი გავიხსენოთ. იმედი მაქვს, მათ გზას გავაგრძელებ და გულშემატკივრის იმედს გავამართლებ.

ბრუნო ფერნანდეში ლისაბონის სპორტინგის ლიდერი იყო და მანჩესტერ იუნაიტედი დიდხანს ცდილობდა მის შეძენას.

რამდენიმე დღის წინ ფერნანდეშმა იუნაიტედთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.



## ლივერპულმა ლიდერობა 19 ქულამდე გაზარდა

ლივერპულმა ვესტ ჰემთან გამოტოვებული შეხვედრა ითამაშა და 2:0 მოიგო. ამ გამარჯვების შემდეგ ლივერპული სატურნირო ცხრილს 19 ქულით ლიდერობს. შეხვედრაში გოლები მოჰამედ სალაჰმა და ალექს ოქსლეიდ ჩემბერლენმა გაიტანეს.

მატჩის შემდეგ კლოპმა თავისი ფეხბურთელები შეაქო და თქვა, რომ ლივერპული იდეალურ ფეხბურთს თამაშობს:

– სათქმელი არაფერია. ჩვენ ისევ გავიმარჯვეთ და ეს ძალიან მიხარია. ჩემპიონობა უკვე ახლოს არის და საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

## ბარსელონას ლიშარლისონის ყიდვა სურდა



ბარსელონა ლუის სუარესის ტრავმის შემდეგ ახალ ფორვარდს ეძებს და კატალონიელებს ლიშარლისონის ყიდვა სურდათ, მაგრამ მათ ევერტონისგან უარი მიიღეს. ბარსელონამ ევერტონს 80 მილიონი შესთავაზა, მაგრამ ევერტონმა უარი განაცხადა და ლიშარლისონს 100 მილიონზე ნაკლებად არ გაყიდის.

ბარსელონა ასევე აკვირდება დუშან ტადიჩს, რომელიც აიაქსის ღირსებას იცავს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 31 იანვრისთვის



**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კური** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წლის პროცედურები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ღამე თევზაობა ჩირაღდნის გამოყენებით; 2. უფროსი მღვდელი ქართული ეკლესიაში; 3. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 5. გურიასა და აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული სუფრის ჯიში; 7. რამე მოქმედების აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი; 9. დაკონსერვებული პროდუქტებით გამოწვეული მძიმე მოწამვლა; 13. მოწმობა, სიგელი წარმატებისთვის; 15. კორიდის მთავარი მონაწილე; 16. გია დანელიას კინოკომედია; 18. პურეული მცენარე.

**თარაზულად**: 4. ნიჟარაში ბინადარი უხერხემლო ცხოველი; 6. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 8. ინდური იგავ-არაკების კრებული; 10. ტვინის შერყევა; 11. სამკითხაო ბანქო; 12. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 14. პოპულარული ბალ-რესტორანი ძველ თბილისში; 17. რამე ელემენტების თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა; 19. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 20. მეცნიერება მეღვინეობის შესახებ; 21. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 22. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 23. შეჯვარების შედეგად წარმოქმნილი ორგანიზმი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

